ზ. კვეტენაძე

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

(I ნაწილი)

„ტექნიკური უნივერსიტეტი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზ. კვეტენაძე

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

(I ნაწილი)

დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საკითხები. იგი ეხება იმ ძირითად კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს მსოფლიო პოლიტიკური აზროვნების მეცნიერულ ჩამოყალიბებას და სისტემიზაციას. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების ტრადიციებსა და პარადიგმებს. კლასიკურ თეორიებს – რეალიზმსა და ლიბერალიზმს, მათ თანამედროვე ნაირსახეობას – ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს, იმ ტენდენციებსა და კანონზომიერებებს, რომლითაც გამოირჩევა საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის ბაკალავრებისა და მაგისტრებისათვის. ასევე საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თენგიზ გრიგოლია

რეცენზენტი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მაია ამირგულაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი'', 2009

ISBN 978-9941-14-351-9 (ყველა ნაწილი)

ISBN 978-9941-14-352-6 (პირველი ნაწილი)

http://www.gtu.ge/publishinghouse/

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შინაარსი

თავი I. საერთაშორისო ურთიერთობები როგორც მეცნიერება.————————————————————————5

თემა I საერთაშორისო ურთიერთობების გაგება და კრიტერიუმები————————————————————————5

თემა II. საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების საგანი————————————————————————20

თავი II. საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებათა პრობლემები————————————————————————30

თემა I. საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებათა შინაარსი————————————————————————30

თემა II. საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალური კანონზომიერებანი————————————————————————44

თავი III. ტრადიციები, პარადიგმები და დავები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ————————50

თემა I. ტრადიციები საერთაშორისო ურთიერთობების სოციალურ-პოლიტიკური აზრის ისტორიაში————————50

თემა II. კანონიკური პარადიგმები: ლიბერალურ – იდეალისტური პარადიგმა————————————————61

თემა III. პოლიტიკური რეალიზმი————————————66

თემა IV. მარქსისტული პარადგიმა————————————72

თემა V. „დიდი დებატები“: პოლიტიკური რეალიზმის ადგილი——————————————————76
თავი IV. თანამედროვე სკოლები და მიმართულებები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში——————85
თემა I. ნეორეალიზმი——————————————85
თემა II. ნეოლიბერალიზმი——————————95
თემა III. დავა ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის——————————————————100
თემა IV. ნეომარქსიზმი——————————105
გამოყენებული ლიტერატურა——————————114

თავი I

საერთაშორისო ურთიერთობები როგორც მეცნიერება.

თემა I. საერთაშორისო ურთიერთობების გაგება და კრიტერიუმები

მეცნიერების საგნისა და ობიექტის გამიჯვნას, ვფიქრობთ არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი შემეცნებისაგან არსებული რეალობა განსხვავდება ამავე სინამდვილის მიერ შესწავლილი სამეცნიერო დისციპლინების სხვადასხვა მხარისაგან. სამეცნიერო დისციპლინები მას აირეკლავენ და აღწერენ, პირველ ყოვლისა, გარკვეული „დაგვიანებით", მეორეც მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების არსის გარკვეული „დამახინჯებით". ადამიანური შემეცნება ვერ აღწევს რა სამყაროს აბსოლუტურ ცოდნას, იძლევა მის მხოლოდ პირობით, მიახლოებით სურათს. გარდა ამისა, ყოველგვარი მეცნიერება ემორჩილება რა თავის განვითარების შინაგან კანონზომიერებებს და თანხვედრაში არაა მის მიერ შესწავლილი რეალობის განვითარების ლოგიკასთან, ასე თუ ისე ქმნის საკუთარ ლოგიკას. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყველა მეცნიერებაში ამა თუ იმ ზომით „მონაწილეობს ადამიანი" და მასში შეაქვს

„სუბიექტურობის“ განსაზღვრული ელემენტი. ობიექტი არსებობს საგნამდე და მისი შესწავლა შესაძლებელია სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებით.

საერთაშორისო ურთიერთობები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე განსხვავებულ სფეროებს – ეკონომიკური გაცვლით დაწყებული, სპორტით დამთავრებული. არანაკლებ მრავალფეროვანია მისი მონაწილენი, რომელთა შემადგენლობაშიც შედის სახელმწიფოები, არასახელმწიფო გაერთიანებანი და რიგითი ინდივიდებიც კი.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ გაგება თითქოს არც წარმოადგენს რაიმე სირთულეს: ესაა დიპლომატიური, სამართლებრივი, იდეოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა კავშირები და კავშირურთიერთობები სახელმწიფოებს, სახელმწიფოებრივ სისტემებს შორის, სხვაგვარად რომ ვთქვათ ხალხებს შორის. მაგრამ იბადება მთელი რიგი კითხვების: მიეკუთვნება თუ არა მაგალითად, სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის ქორწინება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს? მიეკუთვნება მას ტურისტული მოგზაურობანი და პირადი მიწვევები ერთი ქვეყნის მოქალაქეებისა სხვა ქვეყნებში. აბიჯებს თუ არა ადამიანი საერთაშორისო ურთიერთობებში, როდესაც ის მაღაზიაში ყიდულობს სხვა

ქვეყნის საქონელს? ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემა ძირშივე ტოვებს პირობითობის შეგრძნებას შიდასაზოგადოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის.

არც თუ ბევრი სინათლე შეაქვს საერთაშორისო ურთიერთობების შედარებით უფრო მკაცრ განსაზღვრას – როგორც ურთიერთობებს „სახელმწიფოებსა და არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს შორის, პარტიებს, კომპანიებს და ცალკეული სახელმწიფოების კერძო პირებს შორის“.

მცდელობა სახელმწიფოთა ურთიერთობების ჩარჩოდან გამოსვლისა შეინიშნება საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც ადამიანთა თანამეგობრობის ფორმირების ინტეგრაციული კავშირების ერთობლიობად განსაზღვრაში. ამგვარი გაგება კი ვერ ხსნის საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეთა საკითხს.

ამიტომ, რადგან საგნის ზუსტი დეფინიცია არ არსებობს, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას მკვლევარები ესწრაფვიან არა იმდენად მის ამომწურავ განსაზღვრას, არამედ ცდილობენ გამოკვეთონ კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მისი არსისა და სპეციფიკის გამოკვეთა.

ბევრი მკვლევარი საერთაშორისო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებიდან მის მონაწილე სუბიექტებს

გამოყოფს. ასე მაგალითად ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რაიმონ არონი თვლის, რომ ,,საერთაშორისო ურთიერთობები ესაა – ურთიერთობა პოლიტიკურ ერთეულებს შორის, რომელიც შეიცავს ბერძნულ პოლისებს, რომაულ და ეგვიპტურ იმპერიებს, ევროპულ მონარქიებს, ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს, თუ სახალხო დემოკრატიებს. ,,საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსში ჩვენ უპირატესად ვგულისხმობთ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს; ამ მხრივ საერთაშორისო ურთიერთობების უდავო მაგალითად გვევლინება ,,სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები''. სახელმწიფოთა ურთიერთობა შეიძლება წარმოვიდგინოთ სიმბოლური პერსონაჟების ჯარისკაცისა და დიპლომატის სპეციფიკური მოქმედებით. 'ორადორი ადამიანი, წერს – რ. არონი მოქმედებს არა მხოლოდ როგორც წევრი, არამედ როგორც საზოგადოების წარმომადგენელი, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან: ელჩი თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოადგენს პოლიტიკურ ერთეულს, რომლის სახელითაც ის გამოდის; ჯარისკაცი ბრძოლის ველზე წარმოადგენს პოლიტიკურ ერთეულს, რის სახელითაც ის კლავს თავის მსგავსსა და ხატს''. სხვაგვარად რომ ითქვას საერთაშორისო ურთიერთობები თავისი არსით შეიცავს ,,ომისა და მშვიდობის'' ალტერნატივას. საერთაშორისო

ურთიერთობების განსაკუთრებულობაც ისაა, რომ იგი გულისხმობს ერთის ან მეორის ალბათობას და ამიტომაც შეიცავს რისკის მნიშვნელოვან ელემენტს.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის თავისებურებების განსაზღვრის მიზნით რ. არონი მათ ადარებს სპორტს; კერძოდ ფეხბურთს, ის დასძენს, რომ „ფეხბურთთან შედარებით საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო განუსაზღვრელად გამოიყურება. (მოქმედ პირთა მიზანი აქ არც ისე ადვილია, როგორც გოლის გატანა). დიპლომატიური თამაშის წესები დაწერილი არაა დეტალურად და ნებისმიერი მოთამაშე არღვევს მას, როცა ისინი ამაში თავიანთ სარგებელს ხედავენ. აქ არ არსებობს მსაჯი და მაშინაც კი როცა მოქმედ პირთა გარკვეული ერთობლიობა აცხადებს პრეტენზიას მსაჯობაზე (გაერო), ნაციონალური მოქმედი პირი არ ემორჩილება ამ კოლექტიური არბიტრის გადაწყვეტილებას, მიუკერძოებლობის ხარისხი დაბალია. ამიტომ თუ ერთა შეჯიბრი მართლაც გვაგონებს სპორტის რომელიმე სახეობას, ასეთ სპორტად ხშირად გვევლინება ბრძოლა წესების გარეშე – კეტჩი...“ ამიტომაც რ. არონი საერთაშორისო ურთიერთობებს მიიჩნევს „წინასამოქალაქოდ“ ან საზოგადოების ბუნებრივ მდგომარეობად.

არსებობს რ. არონისაგან რამდენადმე განსხვავებული შეხედულებებიც. მაგალითად ამერიკელი მკვლევარის დ. კაპორაზოს აზრით, ამჟამად საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოქმედი პირები არიან არა სახელმწიფოები, არამედ კლასები, სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები და პოლიტიკური ძალები. ბიხევიორისტული სკოლის წარმომადგენელმა დ. სინგერმა განავითარა აზრი, რომლის თანახმადაც საჭიროა შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობების ყველა შესაძ-ლებელი მონაწილისა – ინდივიდიდან დაწყებული, გლობალური თანამეგობრობით დამთავრებული. მეორე ცნობილი სპეცია-ლისტი ჯ. როზენაუ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სტრუქ-ტურულმა ცვლილებებმა, რომელიც მოხდა ბოლო ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობებში და გახდა ხალ-ხებისა და საზოგადოებათა ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი მიზეზი, გამოიწვია ძირეული ტრანსფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობებში. მის მთავარ მოქმედ პირად უკვე გვევლინება არა სახელმწიფო, არამედ კონკრეტული პირი, რომელიც მასთან (სახელმწიფოსთან) მინიმალური ურთიერთობით თუ შუამავლობით მოქმედებს ან თუნდაც მისი ნების გარეშეც. როზენაუსთვის განსხვავებით რ. არო-ნისაგან საერთაშორისო კონტინუუმის სიმბოლური სუბიექტები ტურისტი და ტერორისტია.

თითოეული ეს შეხედულებანი მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მიდგომებით გამოირჩევიან, ერთგვარად ავსებენ ერთმანეთს. თიოთეულ მათგანს აქვს თავისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირს. ესაა საკითხი, რომლის თაობაზეც საერიოზული დავა მიმდინარეობს სხვადასხვა თეორიულ სკოლებს შორის. ასე მაგალითად პოლიტიკური რეალიზმის მომხრეები თვლიან, რომ მიუხედავად საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთი საფუძვლისა რომელსაც შეიძლება ეწოდოს ბრძოლა ძალაუფლებისათვის, (ძალისათვის) ისინი მაინც სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის განსხვავებულ სფეროებს წარმოადგენენ.

ჰანს მორგენთაუს აზრით, საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს ნაციონალური ინტერესები. რამდენადაც ადამიანის ბუნება, გეოგრაფიული პირობები, ხალხების სოციო-კულტურული და ისტორიული ტრადიციები არ შეცვლილა, ეროვნული ინტერესები ატარებს ობიექტურ ხასიათს. იგი განისაზღვრება ორი მიმართულებით: ერთი ესაა წამყვანი იმპერატივი – ბრძოლა არსებობისათვის, მეორე ნაციონალური ინტერესების კონკრეტული ფორმა, რომელიც განიცდის

ცვლილებას დროსა და სივრცეში. ამ ფორმის განსაზღვრა სახელმწიფოს პრეროგატივაა. ეროვნული ინტერესების საფუ-ძველი კი ენა, კულტურა, ტრადიცია და ა.შ. რჩება მუდმივი. ამიტომაც სახელმწიფოს შინაგანი ფაქტორების, (პოლიტიკური რეჟიმი, საზოგადოებრივი აზრი და ა.შ.) რომელიც შეიძლება შეიცვალოს გარკვეულ რეალობათა შესაბამისად, რეალისტების აზრით არ ძალუძთ სერიოზული გავლენა იქონიონ ნაციო-ნალური ინტერესების ბუნებაზე: კერძოდ, ეროვნული ინტერესები არ არის დაკავშირებული პოლიტიკური რეჟიმის ხასიათთან. შესაბამისად საშინაო და საგარეო პოლიტიკა ხასიათდება მნიშვნელოვანი ავტონომიურობით.

სხვა თეორიული მიმდინარეობების წარმომადგენლები კი თლიან, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკა არათუ დაკავ-შირებულია ერთმანეთთან, არამედ დეტერმინირებულიცაა: არსებობს მათი დეტერმინაციის ორი ვერსია: ორთოდოქსული მარქსიზმი საგარეო პოლიტიკას მიიჩნევს შდაპოლიტიკური რეჟიმის კლასობრივი არსის გამოხატულებად, რომელიც და-მოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობებზე. აქედან გამომდინარე საერთაშორისო ურთიერთობები ატარებს „მეორად“, „გადატანით“ ხასიათს. (მარქსი, ენგელსი).

გეოპოლიტიკური კონცეფციის მომხრეების, ,,მდიდარი ჩრდილოეთისა" და "ღარიბი სამხრეთის" თეორიის, ასევე ნეომარქსისტული დამოკიდებულების თეორიის მიმდევრების თანახმად საშინაო პოლიტიკის ძირითად წყაროდ გვევლინება გარეგანი იძულება. ი. ვალერშტაინი, იმისათვის რათა გავიგოთ ამა თუ იმ სახელმწიფოში შინაგანი წინააღმდეგობები და პოლიტიკური ბრძოლა, საჭიროა პრობლემას შევეხოთ გაცილებით ფართო კონტექსტით. კერძოდ, სამყაროს მთლიანობის კონტექსტით, რომელიც გარკვეული დატვირთვით წარმოადგენს გლობალურ იმპერიას. ამ იმპერიის საფუძველში მოცემულია წარმოების კაპიტალისტური საშუალება – ,,მსოფლიო – ეკონომიკა". ,,იმპერიის ცენტრი" – ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები, რომელთაც ჭირდებათ ,,მსოფლიო პერიფერიის" რესურსები, გვევლინებიან სამრეწველო პროდუქციის მთავარ მწარმოებლებად, რომელთა სამომხმარებლო ბაზარიც სუსტად განვითარებული ქვეყნებია. ამგვარად საუბარია ,,ცენტრსა" და ,,პერიფერიას" შორის არასიმეტრიულ დამოკიდებულებაზე, რომელიც მათ საგარეო პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი ხდება.

ნეორეალისტური (კ. უოლცი) და სტრუქტურალისტური (შტრანგე) სკოლის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გარგძელებაა, ხოლო საერთა-

შორისო ურთიერთობები – შიდასაზოგადოებრივი ურთიერ-
თობების გაგრძელება. მათი აზრით, საგარეო პოლიტიკას
განსაზღვრავს არა ეროვნული ინტერესები, არამედ საერთა-
შორისო სისტემის შინაგანი დინამიკა. ამიტომ საერთაშორისო
სისტემის ცვალებად სტრუქტურას მთავარი მნიშვნელობა
ენიჭება. საერთაშორისო სისტემა თავის პირობებს კარნახობს
სახელმწიფოებს მათდა შეუმჩნევლად. ისაა ერთგვარი დამა-
ბალანსებელი მექანიზმი მათ ურთიერთობებში და ქცევის
ნორმებში. ამიტომ ხდება თუ არა დეტერმინირება სახელმ-
წიფოს საშინაო პოლიტიკისა საგარეოში ან პირიქით, ეს სა-
კითხი წყდება საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ.

მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის წარ-
მომადგენლები დასძენენ, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკას
აქვთ ერთი საფუძველი – სახელმწიფო. იმისათვის, რომ
მართებული წარმოდგენა შეგვექმნას მსოფლიო პოლიტიკაზე,
მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორის დადლეის აზრით,
უნდა დავუბრუნდეთ სახელმწიფოს არსის საკითხს. ნებისმიერ
სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია ხელისუფლების ორი
მონოპოლია: პირველი – მას აქვს აღიარებული და სრული
უფლება გამოიყენოს ძალა თავის ტერიტორიაზე, მეორეც –
ლეგიტიმური უფლება აქვს ამოიღოს გადასახადები. ამგვარად

სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები წარმოადგენს იმ ჩარჩოს, რომელშიც ხორციელდება პირველი ამ მონოპოლიათაგანი – მონოპოლია ძალაზე და რომლის ფარგლებს გარეთაც იწყება მისი საგარეო პოლიტიკის არეალი. აქ მთავრდება ერთი სახელმწიფოს უფლება ძალადობაზე და იწყება უფლება მეორისა – ამიტომ ნებისმიერ მოვლენას, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ის, რასაც სახელმწიფო უწოდებს თავის ოპტიმალურ საზღვრებს, შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი კონფლიქტებისა და უწესრიგობებისა. ცხადია, აქ დიდ როლს თამაშობს სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების დონე.

მეორეც, სახელმწიფოს საერთაშორისო შემოსავალი, რომლის ამოღებასაც აწესრიგებს ფისკალური სისტემა, წარმოადგენს სახელმწიფოს შინაგანი კომპეტენციის საზღვრებს, მისი საშინაო პოლიტიკის არეს. ამ არეალის მდგომარეობაც ასევე ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია საინფორმაციო ტენოლოგიებზე. სპეციალიზებული ბაზრების, საექსპერტო ინფორმაციების, უმაღლესი განათლებისა და ჯანდაცვის უზრუნველყოფის შესაძლებლობები მოქალაქეებს ანიჭებს იმ უპირატესობას, რომელიც მათ უბრალო სოფელში არ ქონდათ. სწორედ ამ უპირატესობის წყალობით გადასა-

ხადების დონე ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება აიწიოს და აიძულოს ინდივიდი თუ ფირმა დაფუძნდეს სხვა ადგილას. ამ არეალის ნებისმიერი გაუაზრებელი ზრდა, მაგალითად გადასახადების მოულოდნელი ზრდა, რომელიც შეეხება მოქალაქეთა ერთობლივი შემოსავლის კონფისკაციას, შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის შინაგანი კონფლიქტი. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ–ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ამ სახელმწიფომ ვერ შეძლო მოეხდინა თავისი სამხედრო აპარატის ფინანსირებისათვის რესურსების გენერირება. (დიდლეი. 1991)

ამრიგად, ამგვარი პოზიციის მიმდევრებისათვის საკითხს – რომელია წამყვანი – საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს: მათი აზრით, ერთიც და მეორეც დეტერმინირებულია სხვაგვარი, პირველ რიგში ტექნოლოგიური ფაქტორებით. ამიტომ თუ ნეორეალისტები თვლიან, რომ სახელმწიფო ჩვენს დროში აღარაა მსოფლიო პოლიტიკის ერთადერთი მონაწილე, ურთიერთდამოკიდებულების თეორიისა და სტრუქტურალიზმის რიგი წარმომადგენლების აზრით, სახელმწიფო კარგავს თავის ახლანდელ, ძირითად როლსაც მსოფლიო პოლიტიკაში. წინა პლანზე გამოდიან ისეთი საერთაშორისო აქტიორები, როგორიცაა სამთავრობოთშორისო, ისე არასამთავრობოთშორისო ორგანი-

ზაციები, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობები და ა.შ. მათში მიმდინარეობს ინტეგრაციული პროცესები.

კიდევ უფრო შორს მიდიან ამ თვალსაზრისით ტრანსნაციონალიზმის მომხრეები (ბურტონი, ლორდი. 1991). მათი აზრით, დღეს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა უკვე აღარაა მსოფლიო პოლიტიკის საფუძველი. საერთაშორისო მონაწილეთა მრავალფეროვნება სახელმწიფოს დევნის საერთაშორისო მიმართებიდან, ხდება მისი „ინტერნაციონალურიდან" „ტრანსნაციონალურზე" (ე.ი. სახელმწიფოს გვერდის ავლით) ტრანსფორმაცია. ახალი აქტორებისათვის, რომელთა რიცხვიც ფაქტიურად უსასრულოა, არ არსებობს ეროვნული საზღვრები. ჩვენს თვალწინ იშლება გლობალური სამყარო, რომელშიც პოლიტიკის დაყოფა საშინაოდ და საგარეოდ კარგავს ყოველგვარ აზრს.

ამგვარ მიდგომაზე სერიოზული გავლენა მოახდინა ჯერ კიდევ 1969 წელს წამოწყებულმა ჯორჯ როზენაუს იდეებმა, რომელიც საუბრობდა საზოგადოების შინაგანი ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთკავშირზე. სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების როლზე, საერთაშორისო ქცევის ნორმებზე (როზენაუ 1969წ.).

როზენაუ იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა „გაორებულ“ სამყაროზე. თანამედროვე ეპოქა შეიძლება დავახასიათოთ, ერთის მხრივ, როგორც თანაარსებობა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებით, რომელშიც მოქმედებს კლასიკური დიპლომატიის კანონები და სტრატეგია. მეორეს მხრივ არენა, სადაც „სუვერენიტეტგარეშე აქტიორები“ მოქმედებენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასახელმწიფოებრივი მონაწილეები. ესაა „ორი შრე“ მსოფლიო პოლიტიკისა: სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა და ურთიერთობა არასახელმწიფოებრივი მონაწილეებისა.

ამ აზრს აგრძელებს ფრანგი მკვლევარი ბ. ბადი. მისი აზრით, „სამხრეთის“ ქვეყნებში დასავლური პოლიტიკური მოდელების იმპორტი (აქ იგულისხმება სახელმწიფო, როგორც ადამიანთა პოლიტიკური ორგანიზაციის მოდელი). აშკარა ჩავარდნას განიცდის. სწორედ ამ გაუცხოებაში იმალება კონფლიქტის ძირითადი წყარო, რადგან უნივერსალიზაცია ამ მოდელებისა მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. (ბ. ბადი. 1992).

ამრიგად, საშინაო და საგარეო პოლიტიკას სხვადასხვა მკვლევარები, სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით განიხილავენ. მისი დეტერმინისტული განსაზღვრა, ვფიქრობთ ნაკლებ

ნაყოფიერია, რადგან ჭეშმარიტების, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ნაწილს ეხება, ამიტომაც მას უნივერსალურობაზე პრეტენზია ვერ ექნება. ნებისმიერი რამდენადმე ღირებული შიდაპოლიტიკური მოვლენა ასახვას პოვებს საგარეო პოლიტიკაში და მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოსაგან შესაბამის რეაგირებას საგარეო პოლიტიკაზე. მაგალითისათვის შეიძლება შევეხოთ 1993 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, რომლის შედეგადაც ბალტიისპირეთის ქვეყნების პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დაჩქარებული ტემპებით მოითხოვა ნატოში გაწევრიანება. უკრაინამ კი ცალმხრივ ბირთვულ განიარაღებაზე უარი განაცხადა.

დღეს „საშინაო“ და „საგარეო“ პოლიტიკის ურთიერთკავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ზოგჯერ ამ ტერმინების გამოყენება აზრსაც კი კარგავს. საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ხშირად ნაკარნახევია შიდაპოლიტიკური მიზნებით – პოლიტიკური დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის, სოციალური სტაბილურობის, ინდივიდუალური უფლებების და თავისუფლების გარანტიებით და ა.შ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „სუვერენიტეტგარეშე“ აქტიორების რიცხვის ზრდა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ, როგორც ადამიანთა პოლიტიკური ორგანიზაციის

ინსტიტუტმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ან დაკარგავს ახლო მომავალში. საშინაო და საგარეო პოლიტიკა ესაა ორი ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებული მოღვაწეობის სფერო, რომელთაც განსხვავებაც დიდი აქვს: ერთი მიმართულია სახელმწიფოს შიგნით, მეორე გარეთ.

და კიდევ ერთი: პოლიტიკური სიტუაციებისა და მოვლენების გამწვავება გვევლინება საერთაშორისო ურთიერთობების ახალი აქტიორების გამოჩენის ერთ-ერთ წყაროდ (აქ შეიძლება მოვიაზროთ მაფიოზური დაჯგუფებებიც და დანაშაულებრივი კლანები, ამბიციური და გავლენიანი არაფორმალური ლიდერები). ამ ახალ მონაწილეთა გამოჩენას მოჰყვება ის შედეგი, რომ მათი მოქმედება სცილდება ეროვნული საზღვრების ფარგლებს და უშუალო კავშირშია ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებთან.

თემა II. საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების საგანი

ზემოთჩამოთვლილი პრობლემები ართულებს საერთა-შორისო პოლიტიკური მეცნიერების საგნის განსაზღვრას, თუმცა მსჯელობა და გარკვეული დასკვნების გამოტანა სავ-სებით შესაძლებელია.

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე საერთაშორისო ურთიერთობების თეორია ავტონომიური სამეცნიერო დისციპლინაა თუ ის პოლიტოლოგიის ნაწილია. რამდენადაც საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის საგანი პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების სფეროა, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ის პოლიტოლოგიის ობიექტის განუყოფელი ნაწილია. პირველ ყოვლისა ეს იმითაა განპირობებული, რომ საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობების არსებობის მოდური პოლიტიკის ნებისმიერი სხვა ნაირსახეობის (ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.) მსგავსად წარმოადგენს ინტერესთა, მიზანთა და ღირებულებათა ერთგვარ შეჯიბრს, სადაც ხდება სხვადასხვა საშუალებათა გამოყენება – მიზანმიმართული გავლენიდან დაწყებული, პირდაპირი ძალადობით დამთავრებული. თუმცა უნდა ითქვას, რომ პოლიტოლოგიის სასწავლო ლიტერატურაში (წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში) საერთაშორისო ურთიერთობები აშკარად ჩრდილშია.

ალბათ ამის მიზეზი ისიცაა, რომ პოლიტოლოგია ესაა მეცნიერება საშინაო პოლიტიკის შესახებ, ორგანიზებული სახელმწიფოებრივი საზოგადოების შეზღუდულ ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო

ურთიერთობები ავტომატურად გვევლინება დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად.

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება საშინაო პოლიტიკის საერთაშორისო ურთიერთობებში შეღწევის შესაძლებლობა. ამის მაგალითად გამოდგება გერმანიის გაერთიანება, ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ თავის მოსახლეობაზე საგარეო პოლიტიკური მოვლენებით ზემოქმედება და ა.შ. ერთი სიტყვით საგარეო და საშინაო პოლიტიკა ყოველთვის ერთი საზრდოთი იკვებებოდა. სწორედ გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი (ჯ. როზენაუ) საგარეო პოლიტიკური ანალიზის მოდელს. როზენაუმ შექმნა ე.წ. „საგარეო პოლიტიკის წინა თეორია", რომელიც ეფუძნებოდა ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური სისტემების და საერთაშორისო – პოლიტიკური სისტემის ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებას. როზენაუს იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა 1990-იან წლებში, როცა მას დაემატა „პოსტსაერთაშორისო პოლიტიკის" კონცეფცია, რომელიც ეყრდნობოდა ბიფურკაციის წყვეტის თეზისს ტრადიციულ სახელმწიფო – ცენტრისტულ სამყაროსა და ახალ „სუვერენიტეტგარეშე აქტიორების" პოლიცენტრულ სამყაროს შორის.

ამგვარმა წყვეტამ თავის მხრივ ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების პარამეტრების ერთობლიობათა შერევა–შეთანწყობას. სწორედ საზოგადოების საშინაო ცხოვ-რებისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სოციალური, ფსიქოლოგიური, კულტურული და სხვა ფაქტორების შესწავლა, ამ ურთიერთობების მონაწილეთა ქცევის ახსნა, „საგარეო" წყაროების, რომელთაც ერთი შეხედვით, პირველ ეტაპზე უნდა განსაზღვრავდეს „წმინდა შინაგანი" მოვლენა, არის დღეისათვის საერთაშორისო – პოლიტიკური მეცნიერების განუყოფელი ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კვლევას დიდი ხნის ტრადიცია აქვს (ამ სფეროში პირველი ნაშრომი გამოჩნდა ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.მდე – თუკიდიდეს პელოპინესის ომის ისტორია). მეცნიერება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ვერ დაიკვეხნის ძალზე დიდი მიღწევებით. ეს ცხადია, მოცემული ფენომენის ძალზე დიდი სირთულითაცაა განპირობებული, თუმცა ამ გზაზე ძალზე დიდი ნაბიჯები გადადგეს თუნდაც პოლიტიკური რეალიზმის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც არიან ჰ. მორგენთაუ, რ. არონი, ა. უოლფერსი და სხვა. სწორედ ამ ავტორებმა გვიჩვენეს ამ ფენომენის სიღრმე, დაახასიათეს საერთაშორისო

ურთიერთობების ფსიქოლოგიური და თეორიული ორგანიზაცია, ეკონომიკური სფერო, სოციალური სტრუქტურა და ა.შ.

ყოველივე ამან ინტერესი გაუღვიძა მოდერნისტული მიმართულების მკვლევარებს გაეკრიტიკებინათ პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრათა იდეები და კონცეფციები. მათ ხელი მოკიდეს სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობის შესწავლას. ამ საქმეში ფსიქოლოგია, ეკონომიკა და მათემატიკა, ანთროპოლოგია და ინფორმატიკა და ა.შ. სისტემური მიდგომის, მოდელირების, სოციალური და სტრუქტურულ – ფუნქ-ციონალური ანალიზის, თამაშის თეორიის და ა.შ. მეთოდებით ისინი (მ. კაპლანი, დ. სინგერი, კ. რაიტი, კ. დოიჩი, ტ. შელინგი და სხვ.) ამუშავებენ სხვადასხვა ჰიპოთეზას, რაც ეხება ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პროგნოზირებას; აქ ისინი მიმართავენ ემპირიულ დაკვირვებას, დედუქციულ განსჯას, კორელაციის შესწავლას; ახდენენ ფაქტორთა სისტემატიზაციას, რომელიც გავლენას ახდენს მთავრობათა საერთაშორისო ორიენტაციაზე, იძენენ შესაბამისი ბაზის მონაცემებს, იკვლევენ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილე-ბების მიღების პროცესებს. მიუხედავად ამისა, მოდერნიზმი მაინც ვერ იქცა დამოუკიდებელ თეორიულ მიმდინარეობად,

მათი კვლევა მაინც ფრაგმენტული აღმოჩნდა საერთაშორისო უთიერთობების თეორიაში.

ჩვეულებრივ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მთავარ ობიექტად მიაჩნდათ გარემო, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ანარქიულ, „წინასამოქალაქო მდგომარეობას“, რომელშიც არ არსებობს ცენტრალური, უმაღლესი ხელისუფლება და შესაბამისად არ არსებობს მონოპოლია ლეგიტიმურ ძალადობაზე. მაგ. რ. არონი თვლიდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკურ მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს, ის „რაც გამოარჩევს მას ყველა სხვა სოციალური ურთიერთობებიდან, ის, რაც მიმდინარეობს ომის ჩრდილში, ან კიდევ თუ უფრი მკვეთრად ვიტყვით, ესაა ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის ომისა და მშვიდობის ალტერნატივით“. საერთაშორისო ურთიერთობების საგნის ამგვარ გაგებას იზიარებდნენ ლიბერალებიც, თუმცა დასძენდენენ, რომ პირველი, ანარქიულობა არასოდეს არ ყოფილა აბსოლუტური, მეორეც, საერთაშორისო ინსტიტუტების აღმოცენება და განვითარება, საერთაშორისო რეჟიმების განვრცობა – გაძლიერება იწვევს სულ უფრო მეტ მოწესრიგებულობას საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეებში.

ანარქიულობა საერთაშორისო ურთიერთობებში არაერხელ გამხდარა „დიდ დავათა“ საგანი სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობებს შორის, მაგრამ ამ დისკუსიის მსვლელობამ გვიჩვენა ისიც, რომ ანარქიულობა თანდათან კარგავს თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას საერთაშორისო ურთიერთობების წამყვან კრიტერიუმებში. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნულ ინტერესებზეც. ამიტომ ზოგჯერ წინა პლანზე წამოიწევა თეზისი, გარემომცველი გარემოს სტრატეგიულ თავისებურებებზე, რომელსაც განაპირობებს ეროვნული ინტერესები და ახდენს გავლენას საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულობის ხარისხზე.

მაინც როგორია ეს თავისებურებები? შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების საგანი გამოირჩევა ერთგვარი დუალიზმით. ეს ეხება ურთიერთობების რეგულირებას და წესრიგს. ესაა ერთობლიობაც და წინააღმდეგობრიობაც საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტების და რეჟიმების, აგრეთვე სპონტანური შედეგი საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირებისა და მათთან დაკავშირებული სტრუქტურული იძულებისა და შეზღუდვებისა.

საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების სირთულე, მისი განვითარების ტენდენციები, ზოგჯერ გაუთვალისწინებელი მოულოდნელობები, ასევე ის, რომ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი სივრცობრივი საზღვრები, რომელიც გამოყოფილია საერთაშორისო ურთიერთობებსა და საგარეო პოლიტიკის შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებიდან და საშინაო პოლიტიკიდან, მეტყველებს იმაზე, რომ ემპირიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, ერთიანი ყოვლისმომცველი თეორიისა გარკვეული დინამიურობით გამოირჩევა თანამედროვე რეალობაში და მისი დოგმატური განსაზღვრა რამდენადმე ჭირს. თუმცა სე იმას არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას თავისი საგანი არ გააჩნია. ეს საგანი განპირობებულია მთელი რიგი პრობლემებით საერთაშორისო ცხოვრების წესრიგში, რომელიც რალობას წარმოადგენს და არსებობის საკუთარი დინამიკითა და ცხოვრების წესით.

საკონტროლო კითხვები:

1. არსებობს თუ არა თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობების ყოვლისმომცველი დეფინიცია?

2. როგორ განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს რაიმონ არონი?

3. როგორ ასახვას პოვებს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკა სხვადასხვა თეორიული სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებებში?

ლიტერატურა:

1. ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006

2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (ქრესტომატია), თბ., 2002

3. Ï .À. Öû ãàí êî â, Òåî ðè ÿ ì åæäóí î ðî äí û õ î òí î ø åí è è, Ì ., 2004

4. Â.Ï . Ãëàäêî â, Ì åæäóí î ðî äí î å î áù åñòâî : óòî ï è ÿ è ëè ðåàëüí àÿ ï åðñï åêòè âà //Ì è ðî âàÿ ýêî í î ì è êà è ì åæäóí î ðî äí û å î òí î ø åí è ÿ, 1989. ¹ 6

5. Þ . Êóêóëêà, Ï ðî áëåì û òåî ðè è ì åæäóí î ðî äí û õ î òí î ø åí è è, Ì ., 1980

6. Ý.À. Ï î çäí ÿêî â, Ôè ëî ñî ô è ÿ ï î ëè òè êè. Ì ., 1994

7. R. Aron, Une Sociologie des relations internationales // Revue francaise de siciologie, 1963. Vol. IV. #3

8. B. Badie, L‘Etat importe, L‘occidentalisation de l‘orde politique, P., 1992

9. N.J.W. Burton, World Society, Cambridge, 1972

10. L. Dudley, The World and The Sword: How Techniques of Information and Violence Have Shaped Our World. Oxford, 1991

11. M. Merle, Sociologie des relations internationales, P., 1974

12. J. Rosenau, Turbujence in World Politics, A Theory of Change and Continuity. Princeton, 1990

თავი II
საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებათა პრობლემები

თემა I. საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებათა შინაარსი

კანონზომიერების პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ერთ-ერთი სადისკუსიო თემაა. სხვადასხვა თეორიული სკოლებისა და მიმართულებების ავტორები განსხვავებული შეხედულებებით უდგებიან ამ პრობლემას. მაგ. პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრები საუბრობენ მარადიულ კანონზომიერებებზე, რომლებიც დამახასიათებელია მსოფლიო არენაზე ამოუცნობი ადამიანური ბუნებისათვის, რომლის შეცნობა – გააზრებაც იძლევა საფუძველს ახალი რაციონალისტური თეორიის შექმნისათვის.

ტრადიციული მარქსიზმიც საუბრობს დეტერმინირებულ, ეკონომიკურ ბაზისზე დაფუძნებულ კანონზომიერებებზე, მსოფლიო მასშტაბით კლასობრივი ბრძოლის თეორიაზე კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. სწორედ აქედან ხდებოდა ფორმულირება ისეთი „კანონებისა“, როგორიცაა მაგალითად „სოციალიზმის მსოფლიო სისტემის გადაქცევა საზოგადო-

ებრივი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად"; „განვითარებადი ქვეყნების როლის ზრდა და მიუმხრობლობის მოძრაობა"; „იმპერიალიზმის კრიზისისა და აგრესიულობის გაძლიერება"; „სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში" და ა.შ.

დეტერმინისტული გააზრების თანახმად, ცალკეული ინდივიდის მოქმედება მაკროსოციალურ პროცესებზე სერიოზულ ასახვას ვერ პოვებს. განვითარება განიხილება როგორც აღმავალი პროცესი მარტივიდან რთულისკენ, დაბლიდან სიმაღლისაკენ და მას არა აქვს ალტერნატივა. მსოფლიო გამოიყურება როგორც აბსოლუტური რეალობა, სადაც ბატონობს სწორხაზოვანი მკაცრი მიზეზ–შედეგობრივი კავშირები. შედეგი მიზეზის ინდენტურია ან პროპორციულია. ამიტომაც ისტორია შეიძლება იქნას ახსნილი და ნაწილობრივ ნაწინასწარმეტყველევიც: აწმყო განისაზღვრება წარსულით, მომავალი წარსულით და აწმყოთი.

მაგრამ ბოლო დროს დეტერმინიზმმა (განსაზღვრულობამ) სოციალური დისციპლინების თეორიიდან თითქმის უკანა პლანზე გადაინაცვლა. დღის სინათლეზე გამოჩნდა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელმაც ძირეულად შეცვალა წარმოდგენები მსოფლიო პოლიტიკურ სურათზე. მაგ. სინერ-

გეტიკამ – მეცნიერებამ ქაოსიდან წესრიგის აღმოჩენის შესახებ, თვითორგანიზაციის შესახებ – მსოფლიო სხვა კუთხით დაგვანახა. ილია პრიგოჟინმა გვიჩვენა, რომ ბიფურკაციის წერტილებში დეტერმინისტული აღწერა თითქმის შეუძ-ლებელია. ასე მაგალითად, როდესაც ერთი მფრინავი ჭურვი ხვდება მეორეს და ხდება პირველის გახლეჩვა, (გაორება – ბიფურკაცია) იმის ახსნა თუ მისი გახლეჩილი ნაწილები რა მიმართულებით გაიფანტება თითქმის შეუძლებელია. არა იმიტომ, რომ ამ მეცნიერებამ ჯერ კიდევ არ იცის ეს, არამედ იმიტომ, რომ, როცა ჩვენ გვაქვს ბიფურკაციის წერტილები, ჩვენ არ შეგვიძლია მისი წინასწარმეტყველება. მხოლოდ იმის შემდეგ როცა დამტკიცდება აღნიშნული ნაწილების ფრენის ახალი ტრაექტორია, შესაძლებელი გახდება აღწერა ცნობილი კანონების საფუძველზე, მაგრამ არა ამ წერტილებში. ამგვარად მეცნიერებაში ჩნდება ახალი გაგება, რომლის თანახმადაც არსებობს განვითარების მრავალი ალტერნატიული გზა, მათ შორის კაცობრიობის ისტორიისა, რომლის წინასწარ-განსაზღვრულობაც უკვე შეუძლებელი ხდება. თანდათან მკვიდრდება ისტორიის, როგორც სტოხასტიკური, გაუთვალის-წინებელი, გამოუცნობი, განუსაზღვრელი პროცესის გაგება. (კნიაზევა, კურდიუმოვი 1992).

მსოფლიოს ახალი სურათი, ცხადია, ეხება მეცნიერებასაც საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. ,,კანონთა'' შესახებ საერთო სკეპტიციზმი აიძულებს მკვლევარებს გამოიყენონ ,,ნაკლებსავალდებულო'' ტერმინები, როგორიცაა ,,კანონზომიერებანი'', ,,ტენდენციები'', ,,წესები'' და ა.შ. ასე მაგალითად ბ. რასეტი და ხ. სტარი აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი თეორიული გამოკვლევები საერთაშორისო ურთიერთობებში განვითარებული იქნებოდა უკეთ, ვიდრე დღესაა, პირველ ყოვლისა, მეცნიერები მაინც მივიდოდნენ არა კანონთა ფორმულირებასთან, არამედ ალბათობასთან. რასეტი წერს: ,,საუკეთესო შემთხვევაში მეცნიერ-სოციოლოგი შეფასებას ახდენს ალბათობისას, რომ სპეციფიკური მოვლენის მონაცემებს (მუქარა, დაპირება, უკან დახევა, დათმობა) მოჰყვება სასურველი შედეგი''.

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რ. არონი, თვის მხრივ დასძენდა, რომ თავად საერთაშორისო ურთიერთობების ბუნება, რომლის თავისებურებად გვევლინება ძალადობაზე მონოპოლიის არსებობა და ,,სუვერენიტეტთა პლურაიზმი'', კარნახობს ამა თუ იმ პოლიტიკური მოქმედების აუცილებლობას ,,მანამ სანამ დაგროვდება ყველა აუცილებელი ცოდნა და შეიძინება დამაჯერებლობა''. ამიტომ ამ სფეროში ყოველგვარი მოღვა-

წეობა ეფუძნება არა იმდენად კანონზომიერებათა ცოდნას, რამდენადაც ადამიანთა გამოუცნობ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ ალბათობებს. აქ შეიძლება მხოლოდ ვარაუდი, თუ როგორი მოქმედება იქნება რაციონალური.

რ. არონის შეხედულებათა მიმდევარის ჟ. უნცინგერის აზრით, საერთაშორისო ცხოვრების ყველა მოვლენა თუ პროცესი გულისხმობს მის ანალიზს როგორც ისტორიის, ისე სოციოლოგიის და თეორიის პოზიციიდან. მისი აზრითაც ბოლომდე ამომწურავი პასუხი მიმდინარე მოვლენებისა არ შეიძლება არსებობდეს. ასე მაგალითად, ომის დროს ყველას თავისი სიმართლე აქვს და „გაგება, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს საერთაშორისო ურთიერთობების რეალობებს, – ესაა შეფარდებითობის (მეტნაკლებობის) გაგება“.

მოგიყვანთ კიდევ ერთი ცნობილი ფრანგი სოციოლოგის ჟ.ბ. დიუროზელის შეხედულებას: „კანონზომიერება ესაა არსებობა მსგავსებათა გრძელი რიგისა, რომელნიც როგორღაც არ არიან დამოკიდებულნი ამა თუ იმ ეპოქის თავისებურებებზე და მაშასადამე შეიძლება მივაკუთვნოთ თავად homo Sapiens – ის ბუნებას“.

უაღრესად საინტერესოა ჟ.ბ. დიუროზელის კლასიფიკაცია საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებების შესახებ:

1.ნებისმიერი საზოგადოება და, მაშასადამე ნებისმიერი პოლიტიკური ძალა ესწრაფვის ტექნიკურ ეფექტურობას.

2.ნებისმიერი ტექნიკური სრულყოფა – გაუმჯობესება ექვემდებარება მუდმივ და საყოველთაო გავრცელების კანონ-ზომიერებებს.

3.ტექნიკის გავრცელების მთავარ მუხრუჭად გვევლინება საზოგადოებაში ღირებულებათა ერთიანი სისტემის არსებობა.

4.აუცილებელია კონვერსიის, ე.ი. პირობის კანონზომიერების დაფიქსირების ცოდნა, რომლის დროსაც სოციალური ერთობანი გადადიან ღირებულებათა ერთი სისტემიდან მეორეში.

5.საზოგადოების სტრუქტურული სტაბილურობა მის წევრ-თა ნაწილში იწვევს „აუტანლობის" შეგრძნებას, ე.ი. იმგვარ მდგომარეობას, რომლის დროსაც მრავალი ინდივიდი მზადაა სიცოცხლეც კი ხიფათში ჩაიგდოს ცვლილების სახელით.

6.არსებობს მუდმივი კონფლიქტი ეფექტურობასა და ადამიანურ ღირებულებებს შორის.

7.ადამიანთა გაერთიანების საშუალებები ნაკლებ სტაბილუ-რია, ვიდრე ღირებულებათა სისტემები (რელიგიური, იდეოლო-გიური) და იმავდროულად ცვლილებებისათვის ნაკლებ ღია, ვიდრე ტექნიკა.

8.ომების მიზეზების ახსნა ხდება სტაბილური ღირებულებების, ჩაკეტილი სისტემების არსებობით, სამხედრო პოტენციალთა სხვაობით, სადაც ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში წარმოიშობა „აუტანლობის“ სიტუაცია.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი კანონზომიერებებიდან მხოლოდ ერთი (ომის კანონზომიერება ეხება უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს, ყველა სხვა ატარებს გაცილებით ფართო სოციალურ ხასიათს.

საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის შედარებისას XVI ს-დან 1914 წ-მდე, როდესაც საქმე გვაქვს კოალიციების არსებობასთან და 1945 წ-დან დღემდე კოალიციები ფაქტიურად აღარ არსებობს, რომლებიც როგორც დიუროზელი ფიქრობს, დაუპირისპირდება ერთ ან რამოდენიმე ზესახელმწიფოს ჰეგემონიას; სამაგიეროდ სახეზეა ახალი არცთუ სავსებით რეალური ძალა – მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი; ხდება რადიკალური ცვლილებები სამხედრო სტრატეგიაში და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი დიდი ნაწილი ეძღვნება ომისა და მისი თავიდან აცილების პრობლემებს მაგ. რ. არონმა ერთერთმა პირველმა ჩამოაყალიბა საერთა-

შორისო ურთიერთობების სოციოლოგიური ასპექტები – წიგნში „ომი და მშვიდობა ერებს შორის“.

აქედან გამომდინარე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სხვადასხვა თეორიული სკოლების შეხედულების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ შემდგომი კანონზომიერებანი:

პირველი, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ მოქმედ პირად (ზოგი ავტორის აზრით ერთადერთი) გვევლინება სახელმწიფო, ხოლო მის საერთაშორისო მოღვაწეობის ფორმად სტრატეგია და დიპლომატია.

მეორე, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არსებობის ორი ნაირსახეობის: საშინაო და საგარეო, (საერთაშორისო) რომელთა შორის არსებობს, როგორც ურთიერთკავშირი, ისე არსებითი განსხვავებაც, რომლის ძალითაც სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკა ატარებს, მართალია შედარებით, მაგრამ მაინც ავტონომიურ ხასიათს.

მესამე, სახელმწიფოს ყველა საერთაშორისო მოქმედების საფუძველში ძევს ეროვნული ინტერესები თავისი ძირითადი შემადგენელი ელემენტებით: უსაფრთხოება, ბრძოლა არსებობისათვის, სუვერენიტეტი. ამიტომაც საერთაშორისო ურთიერთობები ესაა – შეტაკებების, კონფლიქტების და სხვადასხვა სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების მორიგების სფერო.

მოეთხეც, ეროვნული ინტერესების განსამტკიცებლად და დასაცავად აუცილებელია ძლიერი სამხედრო პოტენციალის არსებობა, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია სახელმწიფოს ბუნებრივ, ეკონომიკურ და სხვა სახის რესურსებზე. ამიტომაც საერთაშორისო ურთიერთობები ესაა – სახელმწიფოთა ძალოვანი ურთიერთქმედება, ძალთა ბალანსი, რომელშიც ეროვნული ინტერესების თვალსაზრისიდან გამომდინარე უპირატესობას ფლობენ შედარებით ძლიერი სახელმწიფოები.

მეხუთეც, ძლიერი სახელმწიფოების ძალთა გადანაწილებიდან და სამხედრო პოტენციალიდან გამომდინარე – ძალთა ბალანსმა შესაძლებელია მიიღოს სხვადასხვა ფორმები და კონფიგურაცია: ბიპოლარული, სამპოლუსიანი, მულტიპოლარული და ა.შ.

ამგვარია, შედარებით საერთო კანონზომიერებანი საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოებრივ – ცენტრისტული პარადიგმებში: მისი შევსება, განვითარება და დაკონკრეტება ხდება ეროვნული ინტერესების თავისებურებიდან გამომდინარე. მაგ. ჰანს მორგენთაუმ წინ წამოსწია „პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი“ რომელიც წარმოადგენს სწორედ ნაციო- ნალური ინტერესების ერთგვარ კონცეფციას.

მორგენთაუს აზრით, ‘ინტერესი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ქმედებას გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, დამოკიდებულია იმ კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელშიც ყალიბდება საგარეო პოლიტიკა... იგივე შეიძლება ითქვას ძალის კონცეფციაზე. მისი არსი და გამოყენების მეთოდი პოლიტიკური და კულტურული გარემოთი განისაზღვრება. ძალა შეიძლება გულისხმობდეს ყველაფერს, რაც აწესებს და ინარჩუნებს ერთი ადამიანის კონტროლს მეორეზე. ამრიგად, ძალა მოიცავს ყველა ტიპის სოციალურ ურთიერთობას, რომელიც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება, დაწყებული ფიზიკური ძალადობით და დამთავრებული ყველაზე დახვეწილი ფსიქოლოგიური ურთიერთკავშირით, რომლის მეშვეობითაც ერთი გონება მეორეს აკონტროლებს. ძალა უზრუვნელყოფს ერთი ადამიანის ბატონობას მეორეზე, მაშინაც, როცა ის ზნეობრივი მიზნებით იზღუდება და კონსტიტუციური განმარტებით კონტროლდება, როგორც, მაგალითად, დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებშია, და მაშინაც, როცა ის მოუთვინიერებელი და ბარბაროსული ძალაა, რომლისთვისაც ერთადერთი კანონი საკუთარი ძლიერებაა, ხოლო ერთადერთი გამართლება კიდევ უფრო გაძლიერება“.

რ. არონმა წარმოგვიდგინა თავისი მოსაზრება სახელმწიფოს სიძლიერისა და სისუსტის შესახებ საერთაშორისო სტაბილურობასთან დაკავშირებით. მისი აზრით „სისუსტის სიჭარბე მსოფლიოსათვის არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ძალის სიჭარბე“.

ძალზე საინტერესოა 1950 – 1960 – იანი წლების ლიბერალური აზრის ცნობილი წარმომადგენლების ჟ. ვერნანის, ს. ჰოფმანის, ჯ. როზენაუს, ე. ლუარდის, რ. ბოსკის და სხვათა შეხედულებანი საერთაშორისო საზოგადოებაზე, რომელიც რამდენადმე არ უთავსდება მთავრობათა შორის ურთიერთდამოკიდებულებას. სახელმწიფო ზოგჯერ ვერ აკონტროლებს ზოგიერთი სახის საერთაშორისო ურთიერთობებს, არადა ასეთ ურთიერთობებს მსოფლიო გამოძახილი აქვს.

თანამედროვე მსოფლიო განვითარების დინამიკა, მიმდინარე ცვლილებები, ჩვენს მიერ ჩამოთვლილ კანონზომიერებებს ერთგვარად ბუნდოვანს ხდის, რადგანაც რთულია ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ბედის განსაზღვრა, მათი ურთიერთზემოქმედების, თანაყოფის („კონფიგურაციის“) გაგება მსოფლიო არენაზე. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ როგორც აღნიშნავს ჯ. როზენაუ აღმოცენებას იწყებს „პოსტსაერთაშორისო

პოლიტიკის“ – გლობალური სისტემა, სადაც ცალკეულ სტრუქტურებსა და საერთაშორისო მონაწილეებს შორის კონტაქტი სრულიად ახლებურად ხორციელდება. ტრადიციული სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების გვერდით, აღმოცენებას იწყებს საერთაშორისო ურთიერთობების ახალი, „მეორე, პოლიცენტრული სამყარო, რომელიც ხასიათდება გაუთვალისწინებელი და ქაოტური მოვლენებით. ამიტომაც „პოსტსაერთაშორისო ურთიერთობების“ საბაზო სტრუქტურები განიცდის ნამდვილ ბიფურკაციას პოლიცენტრული და ეტატისტური სამყაროს საპირისპირო ლოგიკას შორის, რომლებიც ერთმანეთზე აშკარად ახდენენ გავლენას და ვერანაირდ ვერ ახერხებენ მორიგებასა და აბსოლუტურ მშვიდობიან თანაარსებობას. ჯ. როზენაუ წერს: „ცალკეული ჯგუფეი – ბუნებრივი რესურსების დაცვის საბჭო – მონიტორინგის ჯგუფთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს ზესახელმწიფოების მთავრობებთან ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის თაობაზე: ინგლისის ეკლესიის წარმომადგენლები გამოდიან შუამავლის როლში ახლო აღმოსავლეთში ტერორისტებსა და მთავრობებს შორის; რამდენიმე ორგანიზაცია იღებს გადაწყვეტილებას ჩადოს თუ არა ფული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების ეკონომიკაში,

რათა შეცვალოს ადგილობრივი ხელისუფლების სოციალური პოლიტიკა; საერთაშორისო სავალუტო ფონდი რეკომენდაციას აძლევს ნაციონალურ მთავრობებს, როგორ გადაჭრან ეკონომიკური პრობლემები; ნიკარაგუის სახელმწიფოს მეთაური ნიუ-იორკის ქუჩებში აწარმოებს თავის მხარდამჭერ კამპანიას; აშშ-ში მცხოვრები პოლონელები ეროვნულ არჩევნებში იღებენ მონაწილეობას 1989 წელს, და მათი ხმა ვარშავის ერთ–ერთ რაიონში ხდება გადამწყვეტი; ინგლისში გამოქვეყნებული რომანი ხდება მიზეზი ირანში ელჩის გადადგომისა და ერთი მკვლელობისა ბელგიაში; მოწამლული ხილი ჩილეში იწვევს მსოფლიო ბაზრის დესტაბილიზაციას, ახდენს რამდენიმე მთავრობის პროვოცირებას. მუშათა მოძრაობა ფილადელფიაში და პოლიტიკური კრიზისი თავად ჩილეში – ასეთია ცალკეული მაგალითები ახალი, გლობალური წესრიგის დამკვიდრების გზაზე".

უდაო ყურადღებას იპყრობს ბელგიელი მეცნიერის ა. სამუელის თვალსაზრისი: იგი თვლის, რომ კაცობრიობა უკვე შევიდა „ახალ საერთაშორისო სამყაროში", ხოლო მიმდინარე ცვლილებები გამოირჩევა ორი ძირითადი ასპექტით:

პირველი, ბიპოლარული მსოფლიოდან კომპლექსურზე გადასვლა. უკვე არ არსებობს ორი ზესახელმწიფო. აზიის

სამხრეთ-აღმოსავლეთით ვითარდება ახალი, დინამიკით სავსე სახელმწიფოები; სხვა სახელმწიფოებში ხდება დემოგრაფიული აფეთქება; თავისუფლდება ერები. პატარა სახელმწიფოებს ენიჭებათ მეტი მნიშვნელობა, რაც ხდება დიდი სახელმწიფოების სერიოზული დაფიქრების საგანი. დიდ იდეოლოგიათა „გარდაცვალების“ ადგილას წარმოიშობა ახალი ტიპის ეკონომიკური, ფინანსური, სულიერი ძალები. რელიგიურობა თავის ახალ ადგილს იჭერს და პრეტენზიას აცხადებს განსაზღვროს ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები.

მეორეც, ეს გარდამავალი პერიოდი გახდა გამოუცნობი. ჩვენ უკვე მივეჩვიეთ მსოფლიოს დაყოფას ორ პოლუსად, რომელიც ერთი შეხედვით ჩანდა ურყევი, მაგრამ რეალობა უკვე სხვაგვარია. ერთადერთი პარტია ადგილს უთმობს მრავალპარტიულობას. რიგი საკითხებისა, მაგალითად გერმანიის გაერთიანება, რომელიც ისტორიის საკმაოდ ხანგრძლივ, გადაუჭრელ საკითხად წარმოგვიდგებოდა, წყდება საკმაოდ სწრაფად და არავის არ შეუძლია უკვე იწინასწარმეტყველოს რა მოხდება ხვალ. მაგრამ ამასთანავე უკვე ნათელია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები მხოლოდ სამხედრო ძალთა თანაფარდობის საშუალებით ვერ გადაწყდება.

ამდენად, საუბარი საერთაშორისო ურთიერთობების საერთო კანონზომიერებებზე გამომდინარე საერთოპლანეტარული ტრანსფორმაციიდან შეიძლება ერთგვარად რთული იყოს, მაგრამ ვფიქრობთ მაინც არსებობს უნივერსალური კანონზომიერებანი, რომელიც საერთაშორისო ცხოვრების დინამიკას განსაკუთ-რებულ ცხოველმყოფელობასა და აზრს ანიჭებს.

თემა II. საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალური კანონზომიერებანი

უნივერსალური ანუ საერთო კანონზომიერებანი უნდა პასუხობდნენ სივრცით – დროებით და სტრუქტურულ – ფუნქციონალური ხასიათის კრიტერიუმებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მათი მოქმედების არეალი ეხება არა მარტო ამა თუ იმ რეგიონს, არამედ მთელ მსოფლიოს. უნივერსალური კანონ-ზომიერებანი უნდა ფიგურირებდეს ისტორიულ რეტრო-სპექტივაში ან მომავალში. იგი უნდა მოიცავდეს ეკონომიკას, სოციალურ ცხოვრებას, იდეოლოგიას, პოლიტიკას, კულტურას, რელიგიას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალურ კანონზომიერებებს მიეკუთვნება

საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია და ფრაგმენ-ტაცია, მთლიანი, ერთიანი მსოფლიოს ფორმირება და ამასთანავე მისი გახლეჩვის ყველა ახალი ფორმა.

ამგვარი კანონზომიერებანი, პირველყოვლისა, ვლინდება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ასევე იგი გულისხმობს ახალი, სუვერენული სახელმწიფოების შექმნასა და განმტკიცებას. ნაციონალური ერთობებისა და ნაციონალური მოძრაობების განვითარებას, რომლებიც თავიანთი ინტერესების გავრცელებას ცდილობენ ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ. უნივერსალურ კანონზომიერებათა მოქმედება ეხება არა მარტო პოლიტიკურ მოძრაობებს, არამედ კონკრეტულ პიროვნებებსაც. ძირითად კანონზომიერებათა გავლენა იგრძნობა უკვე პირველი იმპერიების წარმოშობისა და ნგრევის პერიოდში, მსოფლიო რელიგიების ჩასახვის და განვითარების პერიოდში.

საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის წარმო-მადგენლები მიუთითებენ, რომ სამყაროს მთლიანობის ფორმირება ხდება არა მარტო ინტეგრაციული პროცესების თანხლებით, არამედ ქმნის გარკვეულ პირობებს პერიფერიებზე იქნას გადასროლილი ყველა ვინც არ ერთვება ამ პროცესებში. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში იგი გამოხატავს გაღრმა-

ვებულ განხეთქილებას ქალაქსა და სოფელს შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატის ფენებს შორის. გავნვითარებად ქვეყნებში ხდება ე.წ. მეოთხე მსოფლიოს ფორმირება, რომელიც ემიგრანტებისა და „ახალი ღარიბებისაგან“ შედგება. კომუნიკაციების ახალი საშუალებები, ვიდეოტექნიკის განვითარება ხელს უწყობს ცხოვრების დონის, დასავლური ფასეულობების, ინდივიდუალური ღირებულებების, დემოკრატიული ნორმების გავრცელებას პლანეტის სხვადასხვა კუთხეში. თავის მხრივ ეს იწვევს მიგრაციის გაძლიერებას განვითარებული ქვეყნებისაკენ, რისი წახალისებაც, არცთუ იშვიათად, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მიერ ხდება. ამით ისინი ცდილობენ გადაჭრან დასაქმების პრობლემა და „სავალუტო შიმშილი“. მასობრივი ემიგრაცია ხშირად იწვევს ურთიერთობის გამწვავებას ქვეყნებს შორის. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში იზრდება რადიკალური რელიგიური და პოპულისტური მოძრაობები (ისლამური ფუნდამენტალიზმი, რადიკალური ინდუიზმი) ოფიციალური დიპლომატიის ადგილს იკავებს ველური დიპლომატია.

ფართოდ ვრცელდება აზრი, რომ ინტეგრაციის დრო წავიდა და მსოფლიოში დაიწყო დეზინტეგრაციული პროცესები. მოხდა ჩეხოსლოვაკიის მშვიდობიანი და იუგოსლავიის სისხლიანი

დაყოფა. პრობლემებია თურქეთში (ქურთების პრობლემა) საფრანგეთში (კორსიკა) ინგლისში (ჩრდილოეთ ირლანდია) ესპანეთში (ბასკური სეპარატიზმი). მიუხედავად მთავრობათა ღონისძიებებისა, აღნიშნული პრობლემები დაკონსერვებულია და მათი გადაწყვეტის გზები მოძებნილი არ არის.

ცხადია, რომელიმე კანონზომიერების აბსოლუტიზირება მართებული არ არის. მსოფლიო პოლიტიკურმა პროცესებმა ეს დაადასტურა.

ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებით, პრობლემა ერთ-ერთი სადისკუსიო, მაგრამ იმავდროულად საკმარისად დამუშავებული თემაა. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალზე ძნელია დაფიქსირება მოვლენებისა, რომელიც ხასიათდება განმეორადობით, სადაც მოვლენათა უმთავრეს კანონზომიერებად გვევლინება შედარებით, ალბათობაზე დაფუძნებული, სტოხასტიკური ხასიათი. საერთო უნივერსალური კანონზომიერებანი კი გვევლინება, როგორც განვითარების ტენდენცია, რომელიც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორ აისახება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ზოგადი კანონზომიერებანი. განმარტეთ საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერება.

2. დაახასიათეთ საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებათა შინაარსი.

3. რას ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალური კანონზომიერება, რა საერთო კანონზომიერებებზე შეგვიძლია დღეს ვისაუბროთ?

ლიტერატურა:

1. À. Öû ãàí êî â, Òåî ðèÿ ì åæäóí î ðî äí û õ î òí î ø åí è è, Ì ., 2004

2. Å.Í . Êí ÿçåâà, Ñ.Ï . Êóðäþ ì î â, Ñèí åðãåòèêà êàê í î âî å ì èðî âèäåí è å: äèàëî ã ñ Èëèåé Ï ðèãî æèí ûì // Âî ï ðî ñû ô è ëî ñî ô è è. 1992. ¹ 2

3. Ðî çåí àó Äæ. Ì è ðî âàÿï î ëèòèêà â äâèæåí è è. Òåî ðèÿ è çì åí åí è è è ï ðååì ñòâåí í î ñòè: ðåô åðàò. Ì . 1992

4. Ñî âðåì åí í ûå ì åæäóí î ðî äí ûå î òí î ø åí èÿ. Ì . 2000

5. Ôåëì ô í Ä.Ì . Ýêî í î ì åðí î ñòè ì åæäóí î ðî äí ûõ î òí î ø åí èè: Ó÷åáí î å ï î ñî áèå Ì ., 1992

6. Aron R. Sociologie des relations internationales. Vol.IV, #3, 1963

7. Rosenau J. Turbulence in World Politics: A Theorie of Change and Continuty. Princeton, 1990

8. Rassett B., Star H. World Politics. Menu for Choice. San Francisco, 1981

თავი III

ტრადიციები, პარადიგმები და დავები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

თემა I. ტრადიციები საერთაშორისო ურთიერთობების სოციალურ-პოლიტიკური აზრის ისტორიაში

საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიული ტრადიციების ჩამოყალიბება ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში ხდებოდა და ადამიანები სწორედ ამგვარი გამოცდილებით მიდიოდნენ დასკვნამდე თუ რომელი პროცესი შეიძლებოდა ჩათვლილიყო მნიშვნელოვნათ და როგორი გადაწყვეტა უნდა ეპოვა მას.

საერთაშორისო-პოლიტიკური ცხოვრების მოვლენების ასახვა ხდებოდა ჯერ კიდევ ანტიკურ და შუა საუკუნეების მოაზროვნეთა ნაშრომებში. თვით საღვთო წერილშიც კი აისახა საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ისტორიაში უდიდესი წვლილი მიუძღვით თუკიდიდესა და ციცერონს, ემერიკ ფონ ვატელსა და ტომას ჰობსს, ჯონ ლოკსა და ჰუგო გროციუსს, დევიდ იუმსა და ემანუელ კანტს.

ერთ-ერთი პირველი წერილობითი წყარო, რომელშიც მოცე-ულია სუვერენული პოლიტიკური ერთეულების ურთი-ერთობების ღრმა ანალიზი, დაიწერა ჩვ.წ.აღ-მდე V საუკუნეში თუკიდიეს (471-401) მიერ. „პელოპონესის ომის ისტორიას“ მრავალი განზომილებით დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და ის დებულებები, რომელიც ბერძენმა ისტორიკოსმა თავის ნაშრომში ჩამოაყალიბა იქცა პოლი-ტიკური რეალიზმის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. ბერძენი მოაზროვნე ათენელებსა და ლაკედემონებს (სპარტელებს) შორის ხანგრძლივი ომის მიზეზად ამ ერთეულების სამხედრო სიძლიერეს და განვითარების დინამიკას მიიჩნევს. ომის „ნამდ-ვილი ფარული საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ ჩემი აზრით, ათენელებმა თავისი გაძლიერებით ჩაუნერგეს შიში ლაკედემონებს და აიძულეს ისინი ბრძოლა დაეწყოთ“ – წერს ბერძენი მოაზროვნე. „ლაკედემონებმა აღიარეს, რომ მშვიდობა დარღვეულია და აუცილებელია ომის დაწყება, არა იმდენად თავიანთი მოკავშირეების წაქეზებით, რამდენადაც შიშით კიდევ უფრო არ გაძლიერდეს მოწინააღმდეგე“. თუკიდიდე მიიჩნევს, რომ ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის კონფლიქტში უმთავრეს არგუმენტად შეიძლება იქცეს მხოლოდ ძალა, თუმცა ძალა და სახელმწიფოს სიძლიერე მისთვის

თვითმიზანი სრულებით არ არის. იგი ემსახურება მხოლოდ სახელმწიფოთა ინტერესებს, უსაფრთხოებისა და პრესტიჟის დაცვას. „ჩვენ იძულებულნი ვიყავით, – ამბობენ ათენელები, – ჩვენი ძალაუფლება დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, პირველ ყოვლისა არსებული ვითარების გამო, ყველაზე მეტად კი სპარსელების მხრიდან საშიშროების გამო, შემდეგ ღირსების გამო, და ბოლოს ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე“.

თუკიდიდე სრულებით არ არის ძალისა და ძალმომრეობის აპოლოგეტი, იგი მხოლოდ სინანულით არნიშნავს მის გარდაუვალობას. ბევრიც რომ მოინდომო თავს ვერ დააღწევ ძალადობას, იმიტომ რომ ამგვარი წინააღმდეგობა თავად ადამიანის ბუნებაშია მოცემული. ბერძენი მოაზროვნე არ უარყოფს სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ნორმების გამოყენების აუცილებლობას და სარგებლიანობას, თუმცა აღნიშნავს, რომ „სამართლიანი შეფასებით... სამართალს მნიშვნელობა აქვს ორივე მხარის თანაბარი ძალის შემთხვევაში. თუ ეს არაა, მაშინ ძლიერი აკეთებს იმას, რაც შეუძლია და სუსტი ნებდება“. რაც შეეხება მორალს, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ზნეობის უმაღლესი გამოვლენის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს ზომიერება ძალის გამოყენებაში. „წარმატებულია ის, ვინც ტოლს არ უდებს თანაბარს, ვინც

კარგად ეპყრობა შედარებით ძლიერს და ვინც შედარებით სუსტის მიმართ ავლენს ზომიერებას“.

შემდგომში ამ ტრადიციამ მიიღო სახელწოდება კლასიკური და გაგრძელება ჰპოვა ნიკოლო მაკიაველის (1469-1527), ტომას ჰობსის (1588-1679), ემერიკ დე ვატელის (1714-1767) და სხვა ცნობილ მოაზროვნეთა შეხედულებებში. მან შედარებით დასრულებული ფორმა მიიღო XVIII ს-ის გერმანელი გენერლის კარლ ფონ კლაუზევიცის (1780-1831) ნაშრომში.

მაგ. ტომას ჰობსი აღნიშნავს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ეგოისტური არსებაა. ამიტომაც მასში მოცემულია ძალაუფ-ლების განუსაზღვრელი წყურვილი. „...ადამიანურ ბუნებაში ომის სამი ძირითადი მიზეზი ძევს: 1. მეტოქეობა, 2. უნდობლობა, 3. დიდების წყურვილი. პირველი მიზეზი აიძულებს ადამიანებს ერთმანეთს დაესხან თავს ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით, მეორე მიზეზი – საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, მესამე მიზეზი კი, პატივის მოპოვების მიზნით“. ჰობსის აზრით, „ომში ყველა ყველას წინააღმდეგ და თითოეული თითოეულის წინააღმდეგ“ – მიჰყვას ადამიანები „ბუნებრივ მდგომარე-ობამდე“. ასეთი ომი იმითაც ხასიათდება, რომ „მასში არაფერი არ შეიძლება იყოს უსამართლო. ამ დროს არ არსებობს

სამართლიანისა და უსამართლოს, მართებულისა და არამართებულის ცნებები. იქ სადაც არ არის ხელისუფლება, არ არის კანონი, ხოლო სადაც კანონი არ არსებობს, არ არსებობს არც უსამართლობის გაგება. ომში ძალა და სიმუხთლე არის ორი ძირითადი სათნოება. სამართლიანობა და უსამართლობა არის საზოგადოებაში და არა განმარტოებით მცხოვრები ადამიანებისათვის დამახასიათებელი თვისებები. ამგვარი მდგომარეობა ხასიათდება იმითაც, რომ მასში არ არსებობს არც საკუთრება, არც მფლობელობა და არც ზუსტი განსხვავება ჩემსა და შენს შორის. ყოველი ადამიანი თავის საკუთრებად თვლის მხოლოდ იმას, რისი მოპოვებაც მას შეუძლია და მხოლოდ მანამ, სანამ მას ამ საკუთრების შენარჩუნება ძალუძს.

სიკვდილის შიში, კარგი ცხოვრებისათვის საჭირო საგანთა ფლობისა და ამ საგანთა საკუთარი შრომისმოყვარეობით მოპოვების სურვილი არის ის მისწრაფებები, რაც ადამიანებს მშვიდობის დამყარებისაკენ განაწყობს, ხოლო გონი კი კარ-ნახობს მშვიდობისათვის შესაფერის პირობებს, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ თანხმობას“. ჰობსი თვლის, რომ ადამიანები მიდიან საზოგადოებრივ ხელშეკრულებამდე, რომლის შედეგიც იქნება სახელმწიფო-

ლევიათანი. წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობა დაიღუპება. ე.ი. შეთანხმება ხდება იმიტომ, რომ ადამიანები სრულიად არ განადგურდნენ. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ერთადერთი მარეგულირებელი მექანიზმია ძალა, ხოლო თავად ამ ურთიერთობების მონაწილეები იმყოფებიან გლადიატორების როლში, რომელთაც ხელში იარაღი უჭირავთ და გამალებით ადევნებენ თვალყურს ერთმანეთის ქცევას.

ამგვარი ტრადიციის სახესხვაობად იქცა პოლიტიკური წონასწორობის თეორია, რომელსაც იცავდნენ ჰოლანდიელი მოაზროვნე ბარუხ სპინოზა (1632-1677), ინგლისელი ფილოსოფოსი დევიდ იუმი (1711-1776) და ზემოთმოხსენიებული შვეიცარიელი იურისტი ემერიკ დე ვატელი. დე ვატელი ჰობსისაგან განსხვავებით სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ესოდენ მუქ ფერებში არ ხედავს. მსოფლიო შეიცვალა ,,ევროპა წარმოადგენს პოლიტიკურ სისტემას, რაღაც ერთიან მთელს, რომელშიც ყველაფერი დაკავშირებულია აქ მცხოვრები საზოგადოების ურთიერთობებსა თუ განსხვავებებზე, ეროვნულ ინტერესებზე. ის უკვე აღარ წარმოადგენს, როგორც იყო ოდესღაც, ცალკეული ნაწილების გროვას, რომელშიც თითოეული მხარე ნაკლებად იყო დაინტერესებული სხვათა ბედით და იშვიათად ზრუნავდა იმაზე, რაც მას უშუალოდ არ ეხებოდა''.

სუვერენული ერთეულების ყურადღება იმაზე თუ რა ხდება ევროპაში, საელჩოთა მუდმივი წარმომადგენლობა, მოლაპარაკებები ხელს უწყობს დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოების ფორმირებას, ნაციონალურის გვერდით, ასევე მხარს უჭერს თავისუფლებასა და წესრიგს საერთო კეთილდღეობის სასარგებლოდ. როგორც ემერიკ დე ვატელი აღნიშნავს ,,სწორედ ამან შეუწყო ხელი პოლიტიკური წონასწორობის ცნობილ იდეას, ხელისუფლების წონასწორობას. აქ იგულისხმება საგანთა ისეთი წესრიგი, სადაც არც ერთ ქვეყანას არ ძალუძს აბსოლუტურად დაძლიოს სხვა და თავს მოახვიოს მის მიერ დადგენილი კანონები''.

იმავდროულად ე.დ. ვატელი კლასიკური ტრადიციის თანახმად მიიჩნევდა, რომ კერძო ინდივიდთა ინტერესები ეროვნულ (სახელმწიფოს) ინტერესებთან შედარებით მეორადია. ,,თუ ესოდენ მარტივად სჯერათ საშიშროების მუქარისა, ამაში დამნაშავეა მეზობელი, რომელმაც თავისი პატივმოყვარე განზრახვა სხვადასხვაგვარად გამოავლინა'' ე.ი. პრევენციული ომი გაძლიერებული მეზობლის წინააღმდეგ კანონიერი და სამართლიანია. მაგრამ როგორი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ქმედება თუ ეს მეზობელი ძალზე ძლიერია. ამ შემთხვევაში ე.დ. ვატელის აზრით, უნდა შეიქმნას კოალიცია, რომელიც

დაუპირისპირდება ამ ძლიერ სახელმწიფოს და არ მისცემს საშუალებას საკუთარი ნება თავს მოახვიოს სხვას. ვფიქრობთ, ამ კონცეფციას რამდენადმე ეხმიანება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობა, როდესაც ქვეყანა თავის უსაფრთხოებას უკავშირებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს.

XIX საუკუნეში კლასიკურმა ტრადიციამ თავისი გაგრძელება ჰპოვა გერმანელი გენერლის კარლ ფონ კლაუზევიცის წიგნში „ომის შესახებ". როგორც გერმანელი მოაზროვნე თვლის, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს სამხედრო მოტივაცია პოლიტიკურ განზრახვასა თუ მიმართულებაზე, უნდა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ სწორედ „პოლიტიკური განზრახვაა მიზანი, ომი კი მხოლოდ საშუალება, და არასოდეს არ მოიაზრება საშუალება მიზნის გარეშე". კლაუზევიცი ნაკლებად ინტერესდება შიდაპოლიტიკური ბატალიებით, მისთვის ეს მხოლოდ ნიუანსებია, რომელიც ეჭვს გარეშე ოდნავადაც არ მოიაზრებს სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკურ ინტერესებს. იგი წერს: „შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ პოლიტიკის მიზანია შიდა ადმინისტრაციის მოღვაწეობის ყველა ასპექტის შეთანხმება და უნიფიკაცია, ასევე სულიერი ღირებულებების და სხვა რაც შეიძლება ყოველივე ამას დაუმატოს ეთიკის სპეციალისტმა. ცხადია, პოლიტიკა თავისთავად არაფერია.

ის არის მხოლოდ ყველა ამ ინტერესის გამომხატველი გარეგანი სამყაროს თვალწინ". კლაუზევიცს, როგორც კლა- სიკური ტრადიციის მიმდევარს მიაჩნდა, რომ პოლიტიკის საფუძველში მოცემულია ადამიანის ურთულესი ბუნება, ამიტომ საერთაშორისო ცხოვრება გააზრებული უნდა იქნას რაციო-ნალისტურად.

კლასიკური ტრადიციის პარალელურად ხდება სხვაგვარი ტრადიციის ფორმირებაც, რომელსაც ევროპაში უკავშირებენ სტოიციზმის ფილოსოფიას და ქრისტიანობის განვითარებას, ესპანელი თეოლოგის – დომინიკანელს ფრანცისკო დე ვი-ტორიოს (1480-1546), ჰოლანდიელი იურისტის ჰუგო გროციუსის (1583-1645), გერმანული კლასიკური ფლოსოფიის წარმომადგენლის იმანუელ კანტის (1724-1804) და სხვათა შეხედულებებს. ამ ტრადიციის საფუძველში ძევს ადამიანთა მოდგმის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის იდეა, ასევე ადამიანის ბუნებრივი უფლებები. სხვადახვა ეპოქებში ამგვარი იდეები იძენდა განსხვავებულ ფორმებს და ადამიანებიც განსხვავებული ინტერპრეტაციით განიხილავდნენ მას. მაგ. ფ. ვიტორიოს შეხედულებებში სახელმწიფოსა და ადამიანს შორის ურთიერთობებში პრიორიტეტი ადამიანს ეკუთვნის, სახელმწიფო კი სხვა არაფერია, თუ არა უბრალო აუცი-

ლებლობა, რომელმაც უნდა შეამსუბუქოს ადამიანის ყოფა. ადამიანთა ერთიანობა ხელოვნურს და არაბუნებრივს ხდის მათ დაყოფას ცალკეულ სახელმწიფოებად. ადამიანის ნორმალურ და ბუნებრივ უფლებად შეიძლება ჩაითვალოს მისი უფლება თავისუფალ გადაადგილებაზე. ამ მხრივ მოცემულ პრობლემას თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებუბებზე აღემატება კიდეც ფ. ვიტორიოს შეხედულებანი.

ამგვარ შეხედულებათა ავტორები დარწმუნებულნი არიან ადამიანთა შორის მარადიული მშვიდობის დამყარებაში. მაგ. კანტი ფიქრობდა, რომ ადამიანებს შორის ანგარებით და წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას აუცილებლად მოჰყვებოდა სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბება, ამას კი თავის მხრივ სახელმწიფოებს შორის ჰარმონიული ურთიერთობა. ამ ტრადიციის მომდევრები გამოდიოდნენ არა იმდენად არსიდან, რამდენადაც აუცილებლობიდან და ეყრდნობოდნენ მორალსა და სამართლებრივ არგუმენტაციებზე დაფუძნებულ ფილოსოფიურ იდეებს; იცავდნენ პიროვნების განუყოფელ უფლებას. ამიტომაც ამ თეორიულ კონცეფციას ეწოდა ლიბერალურ – იდეალისტური.

XIX ს-ის შუახანებში მარქსიზმის წარმოშობამ განაპირობა კიდევ ერთი ტრადიციის ჩამოყალიბება საერთაშორისო

ურთიერთობებში. კ. მარქსის თანახმად მსოფლიო ისტორია იწყება კაპიტალიზმიდან, რადგანაც კაპიტალისტური წარმოების საფუძვლად გვევლინება მსხვილი მრეწველობა, რომელიც ქმნის ერთიან მსოფლიო ბაზარს და იწვევს კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის საშუალებების განვითარებას. ბურჟუაზია მსოფლიო ბაზრის ექსპლუატაციის გზით ყველა ქვეყნის წარმოებასა და მოთხოვნილებას კოსმოპოლიტურად გარდა-ქმნის და გადაიქცევა გაბატონებულ კლასად არა მარტო ცალკეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მაგრამ „რა ხარისხითაც ვითარდება ბურჟუაზია და კაპიტალი, ვითარდება პროლეტარიატიც“. ეკონომიკურ ჭრილში საერთაშორისო ურთიერთობები ხდება ექსპლუატაციის ურთიერთობები. პოლიტიკურ ჭრილში იგი გადაიქცევა ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობებად, მისი შედეგი კი იქნება კლასობრივი ბრძოლა და რევოლუციები. აქედან გამომდინარე სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრივი ინტერესები მეორადია, რადგანაც ობიექტური კანონზომიერებანი ხელს უწყობენ მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც ბატონობს კაპიტალისტური ეკონომიკა და მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლა. როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ „ეროვნული განკერძოებულობა და ხალხებს შორის

განსხვავებულობა ბურჟუაზიის განვითარებასთან ერთად, თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებთან, მსოფლიო ბაზართან, ერთიან სამრეწველო წარმოებასთან და მასთან შესატყვის ცხოვრების პირობებთან ერთად ისპობა".

თემა II. კანონიკური პარადიგმები: ლიბერალურ – იდეალისტური პარადიგმა

პარადიგმას უწოდებენ იმ საერთო სამეცნიერო მიდგომათა ერთობლიობას, რომელიც ორიენტირებულია თეორიულ და ემპირიულ გამოკვლევაზე. საერთაშორისო ურთიერთობებში მკვლევარები გამოყოფენ რამდენიმე პარადიგმას, თუმცა ხშირად მათი პოზიციები პარადიგმათა რაოდენობის, შინაარსის, დასახელების ირგვლივ სხვადასხვაგვარია. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ,,საბაზო" პარადიგმათა ირგვლივ მათი პოზიციები არ განსხვავდება, ეს ძირითადად ეხება თეორიულ ტრადიციებზე დაფუძნებულ პარადიგმებს, ესენია: ლიბერალურ–იდეალისტური პარადიგმა, პოლიტიკური რეალიზმის პარადიგმა და მარქსისტული ანუ სოციალისტური პარადიგმა. ტერმინი ,,კანონიკური" ეკუთვნის მაიკლ დოილს. სწორედ ამ კანონიკური პარადიგმების საფუძველზე ხდება მრავალგვარი, მათ შორის, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის აგება.

აქედან გამომდინარე ჩვენი ინტერესის სფეროც ეფუძნება შემდეგ კითხვებს: 1. ვინ არიან საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოქმედი პირები (აქტორები). 2. რაში მდგომარეობს ამ ურთიერთობების სპეციფიკა. 3. რომელია ძირითადი საერთაშორისო პროცესები? 4. რა ძირითად მიზნებს ისახავენ საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეები. 5. რა საშუალებებს იყენებენ ამ მიზნების მისაღწევად. 6. როგორი შეიძლება იყოს საერთაშორისო ურთიერთობების მომავალი.

თუკიდიდეს, მაკიაველის, ჰობსის, დე ვატელის, კლაუზევიცის ერთმხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ვიტორიოს, გროციუსის, კანტის თეორიულმა მემკვიდრეობამ უშუალო გამოხატულება ჰპოვა იმ სამეცნიერო დისკუსიაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა აშშ-ში ორი მსოფლიო ომის პერიოდებში რეალისტებსა და იდეალისტებს შორის.

იდეალიზმმა (ზოგჯერ მას უტოპიზმსაც უწოდებენ) პოლიტიკურ პრაქტიკაში ასახვა ჰპოვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტის ვუდრო უილსონის ერთა ლიგის შექმნის პროგრამაში, ბრიენის პაქტში (1928), რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ძალის გამოყენებაზე უარის თქმას, ასევე სტაიმსონის დოქ-ტრინაში (1932), რომლის თანახმადაც აშშ უარს ამბობდა

ნებისმიერი ცვლილების დიპლომატიურ აღიარებაზე, თუ ის მიღწეული იქნებოდა ძალის გამოყენებით. ომისშემდგომ წლებში იდეალისტურმა ტრადიციამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ისეთი ამერიკელი პოლიტიკოსების შრომებსა და მოღვაწეობაში, როგორებიც არიან ჯონ დალესი და ზბიგნევ ბჟეზინსკი, ასევე პრეზიდენტი ჯიმი კარტერი (1976-1980) და პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი) (1988-1992). სამეცნიერო ლიტერატურაში იგი წარმოდგენილ იქნა ისეთ ავტორთა შრომებში, როგორებიც არიან რ. კლარკი და ლ.ბ. სონი მათ ეკუთვნით წიგნი: „მშვიდობის მიღწევა მსოფლიო სამართლის საშუალებით“.

ლიბერალურ–იდეალისტური პარადიგმის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: იდეალისტები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეები წარმოადგენენ ფართო პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სპექტრს, რომელშიც შედიან არა მარტო სახელმწიფოები, არამედ საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი გაერთიანებები და ჯგუფები, ცალკეული წარმოებები და თვით კერძო ინდივიდებიც კი. უფრო მეტიც, იდეალისტები თვლიან, რომ სახელმწიფო არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რაციონალური და უნიტარული მოთამაშე (აქტიორი).

სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკა ცალკეული სახელი-სუფლებო სტრუქტურების, ბიუროკრატიული იერარქიის, საზოგადოების სამოქალაქო და სამხედრო სისტემის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და მოძრაობების ქმედების და ქცევის ადეკვატურია.

ლიბერალურ – იდეალისტური პარადიგმის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობებში უმაღლესი ხელისუფლების არარსებობა სულაც არ ნიშნავს მის მუდმივ „ანარქიულობას". საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა და მისი სრულუფ-ლებიანობის გავრცელება, საერთაშორისო სამართლის ნორმების სრულყოფა, საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაცია და მასზე უნივერსალური, ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების გავრცელება – საერთაშორისო პოლიტიკაში თანას-წორი მოღვაწეობისათვის შესაფერის პირობებს ქმნის არა მარტო დიდი სახელმწიფოებისათვის, არამედ სხვა სახელმ-წიფოებისა და არასახელმწიფოებრივი აქტიორებისათვისაც. ასე რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულ ხასიათს ლიბერალები მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებენ. მათი აზრით, საერთაშორისო პროცესები მრავალფეროვანია და საერთაშორისო ურთიერთობების განხილვა მხოლოდ ომისა და მშვიდობის ჭრილში არამართებული იქნება. ეს ეხება საერთაშორისო თანამშრომლობასა და კონფლიქტებსაც.

ლიბერალები თვლიან, რომ საერთაშორისო მოთამაშეების პლურალიზმი, უნდა გულისხმობდეს მათი მიზნების პლურალიზმსაც. იმავდროულად ამ პლურალიზმში ნათლად იკვეთება საერთოსაკაცობრიო, უნივერსალური, დემოკრატიული ფასეულობები, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას მთელი კაცობრიობის ინტერესების დამცველი მსოფლიო წესრიგი.

ლიბერალურ – იდეალისტური პარადიგმის თანახმად დემოკრატიული სახელმწიფოების მსოფლიო თანამეგობრობას თავისუფლად შეუძლია თავის წევრებს შორის წამოჭრილი კონფლიქტი გადაჭრან მშვიდობიანი გზით, სამართლებრივი დარეგულირების გზით, საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდით. ერთ-ერთი მისი ძირითადი პრიორიტეტია კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა. იდეალისტები ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების შედეგად საბოლოოდ მოხდება მისი ანარქიული ბუნების დაძლევა და ყველაფერი მსოფლიო თანამეგობრობის პრინციპებს დაექვემდებარება. ისინი არ გამორიცხავენ მსოფლიო ხელისუფლების შექმნასაც, რომელსაც სათავეში ჩაუდგება გაერო რომელიც იმოქმედებს მიღებული მსოფლიო კონსტიტუციის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მთავრობის შექმნის იდეით გამოდიოდნენ ზოგიერთი რომის პაპებიც მაგ.

იოანე XXIII, 1963წ. პავლე VI 1967 წ. იოანე პავლე II 1980წ.

ლიბერალურ – იდეალისტური პარადიგმა თავის სერიოზულ გავლენას ინარჩუნებს დღესაც. ეს გავლენა გამოიხატება იმ კონკრეტულ ნაბიჯებში, რომელსაც დგამს თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობა საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციის გზაზე, იმ ახალი მსოფლიო წესრიგის სტრატეგიის გზაზე, რომელსაც მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრინციპად აღიარებს აშშ, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

თემა III. პოლიტიკური რეალიზმი

პოლიტიკურმა რეალიზმმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იდეალიზმი, მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ იდეალისტური ტრადიციების მიმდევარმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თავიანთი პოზიციით ხელი შეუწყვეს მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას; ამავე დროს შემოგვთავაზა კარგად ორგანიზებული მეცნიერულად დასაბუთებული თეორია. პოლიტიკური რეალიზმის ცნობილი წარმომადგენლები არიან – რაინჰოლდ ნიბური, ფრედერიკ შუმანი, ჯორჯ ქენანი, ჯორჯ შვარენბერგი, კენეტ ტომპსონი, ჰენრი კისინჯერი, ედუარდ კარი, არნოლდ უოლფერსი, ჰანს მორგენთაუ, რაიმონ არონი და სხვ.

პოლიტიკური რეალიზმი შემდეგნაირად განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს: 1. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილეები არიან სუვერენული სახელმწიფოები. 2. საშინაო პოლიტიკა და საგარეო პოლიტიკა თავიანთი არსით განსხვავდება. 3. საერთაშორისო პოლიტიკა ანარქიულ გარემოში წარმოადგენს ძალაუფლებისათვის ბრძოლას. 4. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სუვერენული სახელმწიფო თანასწორუფლებიანია, ძლიერი და და სუსტი სახელმწიფოების შესაძლებლობები და როლი საერთაშორისო ურთიერთობებში მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება.

რეალიზმის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელი მრავალი ფაქტორი უცვლელია. სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში და მათ ინტერესებში სრული ჰარმონიის მიღწევა შეუძლებელია, ხოლო დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები ხშირად შეიცავს კონფლიქტურ მახასიათებლებს და ომების გამომწვევიცაა. ამიტომაც, როგორც რეალისტები მიიჩნევენ ძალის ფაქტორი წყვეტს ბევრ პრობლემას. მაგ. ჰანს მორგენთაუ თვლის, რომ ,,საერთაშორისო პოლიტიკა, ისევე როგორც მთლიანად პოლიტიკა – წარმოადგენს ბრძოლას ძალაუფლებისათვის", მაგრამ ეს ძალაუფლება არის არა მხოლოდ

საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილე სახელმწიფოს მიზანი, არამედ იმავდროულად საშუალებაც. „როგორიც არ უნდა იყოს საგარეო პოლიტიკის მატერიალური მიზანი, მაგალითად, ნედლეულის წყაროების მოპოვება, საზღვაო გზების კონტროლი, თუ ტერიტორიული ცვლილებები, იგი მუდამ გულისხმობს სხვების კონტროლს მათ ნებაზე ზემოქმედების საშუალებით" – წერს მორგენთაუ. პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი დებულებები ჰ. მორგენთაუმ ჩამოაყალიბა წიგნში „პოლიტიკური ურთიერთობები ერებს შორის. ბრძოლა ხელისუფლებისა და მშვიდობისათვის", სადაც ამერიკელი მეცნიერი ხაზგასმით უთითებს, რომ „ფიზიკური ძალადობის მუქარა, პოლიტიკის ორგანული ელემენტია, საერთაშორისო პოლიტიკაში სამხედრო ძალა, როგორც მუქარა ან პოტენციალი, არის უმთავრესი მატერიალური ფაქტორი სახელმწიფოს პოლიტიკური სიძლიერის უზრუნველსაყოფად", საერთაშორისო ანარქიის დაძლევა შეუძლებელია უნივერსალური ზნეობრივი ნორმებისა და საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის გზით.

პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლებს უაღრესად საინტერესო წარმოდგენა აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების ცვლილებასთან დაკავშირებით. როგორც

მორგენთაუ აღნიშნავს: „რეალისტები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ასეთი ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ხელოვნური მანიპულაციის გზით იმ ძალების მიერ, რომლებიც გავლენას ახდენენ და შემდეგშიც მოახდენენ პოლიტიკაზე". მათი აზრით, სანამ არსებობს სახელმწიფო ის იქნება საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილე, რომელსაც თავისი უცვლელი კანონები გააჩნია. ე.ი. სხვაგვარად რომ ითქვას, შეიძლება შეიცვალოს პოლიტიკურ ძალათა კონფიგურაცია, მოხდეს ერთგვარი შემსუბუქება საერთაშორისო ანარქიის შედეგების, დამკვიდრდეს შედარებით სტაბილური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების შეცვლა შეუძლებელია.

საერთაშორისო ურთიერთობების ამგვარი იმპერატივებით განსაზღვრა უშუალოდ ეხმიანება საყოველთაოდ აღიარებულ კონცეპტს ადამიანის უცვლელი ბუნების შესახებ. ჯერ კიდევ რაინჰოლდ ნიბურმა შეიმუშავა ქრისტიანული, მეცნიერული კონცეფცია ადამიანის ბუნების ასახვისა საზოგადოებრივ და შემდეგ საერთაშორისო ცხოვრებაზე, თავისი პროფესია (იგი თეოლოგი იყო) დიდად უწყობდა ხელს ამერიკელ პროტესტანტ თეოლოგს უკეთ გაეანალიზებინა საერთაშორისო ცხოვრების მრავალი ასპექტი და დიდი წვლილი შეეტანა პოლიტიკური

რეალიზმისა და აშშ-ს საგარეო პოლიტიკის საფუძვლების ჩამოყალიბებაში ცივი ომის პერიოდში. ნიბურის აზრით, საერთაშორისო პოლიტიკაში უძლიერესი ქვეყნების ჰეგემონობა გარდაუვალია. აშშ-ს მაგალითზე ნიბური მიუთითებდა, რომ საჭიროა ძალის პრიმატის გაცნობიერება საერთაშორისო არენაზე. იგი თვლიდა, რომ პოლიტიკური თეორია პოლიტიკური პრაქტიკიდან, სინამდვილიდან გამომდინარეობს. ადამიანური ბუნება კი ნებისმიერ შემთხვევაში თავის სიტყვას ამბობს.

ადამიანური ბუნება მხედველობიდან არ გამორჩენია ჰ. მორგენთაუს. იგი აღნიშნავდა, რომ ,,ადამიანის ბუნება, რომელშიც მოცემულია პოლიტიკის კანონები, არ შეცვლილა ჩინეთის, ინდოეთის, საბერძნეთის ფილოსოფიური აზრის დროიდან''.

ობიექტურ კანონზომიერებებზე დაყრდნობამ, კონცეპტულურად გამართულმა მეცნიერულმა დებულებებმა, საერთაშორისო სინამდვილის რეალური სურათის წარმოდგენამ პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრებს სერიოზული ავტორიტეტი შესძინა როგორც აკადემიურ სამეცნიერო, ისე სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური, სახელმწიფო მოღვაწეების წრეებში, მაგრამ მიუხედად ამისა მათი შეხედულებებიც ვერ იქცა ,,აქსიომად'', ვერც პოლიტიკური რეალიზმი იქცა გაბატონებულ

პარადიგმად საერთაშორისო ურთიერთობებში. ცხადია, იმიტომ, რომ მასაც გააჩნდა თავისი სუსტი მხარეები.

პოლიტიკური რეალიზმის უმთავრესი სუსტი მხარეც ისაა, რომ აღიარებს რა საერთაშორისო ურთიერთობებს ძალისმიერი ბრძოლის არენად და ამას მიიჩნევს სწორედ მის „ბუნებრივ მდგომარეობად", ამით რეალიზმს საერთაშორისო ურთიერთობები დაჰყავს მხოლოდ სახელმწიფოებრივ ურთიერთობამდე და ძალის აბსოლუტიზაციის შედეგად სათანადოდ ვერ აფასებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სულიერი ღირებულებები, სოციოკულტურული რეალობები და ა.შ. პოლიტიკურ რეალიზმს საერთაშორისო ურთიერთობებში მხოლოდ კვლევის საკუთარი მეთოდი აქვს აღიარებული, მაშინ როდესაც მსოფლიო განვითარების რამდენადმე განსხვავებული ტენდენცია შეინიშნება თანამედროვე რეალობაში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ რეალიზმის ყველა დებულება მოძველდა და ვეღარ პასუხობს ეპოქის მოთხოვნებს.

თემა IV. მარქსისტული პარადიგმა

საზოგადოებრივ – პოლიტიკური განვითარების, საერთა-შორისო ურთიერთობების თეორიის მეცნიერულ აზრზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მარქსიზმმა. თუ ტრადიციულ მარქსიზმს დღეს შედარებით ნაკლები მომხრე ჰყავს, იგივე არ ითქმის ნეომარქსისტულ მიმართულებაზე, რომელიც კვლავაც ინარჩუნებს თავის მყარ პოზიციას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, უფრო მეტიც, მას გარკვეული გავლენაც კი აქვს საერთაშორისო – პოლიტიკური მეცნიერების ზოგიერთ სხვა (მაგ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია) მიმდინარეობაზე. ცხადია, ნეომარქსიზმის არსის გასაღები ხდება „კანონიკური" მარქსიზმი.

1. მარქსისული პარადიგმის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მოქმედი პირები არიან სოციალური კლასები – მსოფლიო ბურჟუაზია და საერთაშორისო მუშათა კლასი (პროლეტარიატი). სახელმწიფო არის მეორე რიგის საერთაშორისო მონაწილე. ბურჟუაზიის მთავარი დამახა-სიათებელი თვისებაა მისწრაფება მაქსიმალური მოგებისაკენ და მუშათა კლასის ექსპლუატაციის გზით ნედლეულის ახალი წყაროების მოპოვება. ამას მივყავართ ერთი მხრივ მსოფლიო კაპიტალიზმის იმპერიალისტურ წინააღმდეგობებთან, ხოლო

მეორეს მხრივ, საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესების კონსოლიდაციასთან. „მუშებს არა აქვთ სამშობლო“, მათ აერთიანებთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობის ობიექტური საფუძველი. ბურჟუაზიამ კი ნაციონალური სახელმწიფო შექმნა, როგორც თავისი კლასობრივი ბატონობის ინსტრუმენტი. იყენებს რა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ ელემენტებს (სტრატეგია და დიპლომატია) თავისი ვიწროეგოისტური მიზნების დასაკმაყოფილებლად ბურჟუაზია სისტემატიურად მიმართავს საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივ დესტაბილიზაციას, შეიარაღებულ კონფლიქტებს და ომებს.

2. საერთაშორისო ურთიერთობები, გარდა მასშტაბისა, არაფრით არ განსხვავდება შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან. იგი შეიცავს ეკონომიკურ ბაზისს და ნაციონალური სახელმწიფოს ჩარჩოებში გამოხატავს ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ურთიერთქმედების თავისებურებებს. ამიტომაც საერთაშორისო ურთიერთობები თავისი ბუნებით ატარებს კაპიტალისტურ ხასიათს და წარმოადგენს გაბატონებული იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და ექსპლუატირებული და ჩაგრული მშრომელების ბრძოლის არენას.

3. აქედან გამომდინარე საერთაშორისო პროცესების მეტი წილი წარმოდგენილია კლასობრივი კონფლიქტებით, კრიზისებით, ომებით და სოციალური რევოლუციებით.

4. საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა მიზნები კარდინალურად განსხვავებულია: თუ მსოფლიო ბურჟუაზია ესწრაფვის შემოსავლისა და კაპიტალის მაქსიმალურ ზრდას, საერთაშორისო მუშათა კლასის მიზანია გაბატონებული კლასის დამხობა და პროლეტარიატის მსოფლიო – ისტორიული მისიის განხორციელება, ყველა მშრომელის განთავისუფლება ექსპლუატაციისაგან და დედამიწაზე სოციალიზმისა და კომუნიზმის დამკვიდრება.

5. ამ განსხვავებულ მიზანთა მისაღწევად გამოიყენება განსხვავებული საშუალებებიც. ბურჟუაზია აძლიერებს ექსპლუატაციას, პროლეტარიატი მიმართვას მსოფლიო სოციალურ რევოლუციას.

6. მარქსიზმს აქვს გამოკვეთილი და ნათელი პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობებზე: იგი განსაზღვრულია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონებით: მათ შორის სახელმწიფოს კვდომისა და კაპიტალისტური ექსპლუატაციისაგან თავისუფალი მსოფლიო საზოგადოების დამკვიდრების კანონზომიერებით.

7. საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტული ანალიზი ეყრდნობა მის საერთო მეთოდოლოგიურ პოზიციას, რომელთა შორის წამყვანია წარმოებისა და ეკონომიკური

ბაზრის როლი საზოგადოებრივი განვითარების საქმეში, ასევე კლასობრივი ბრძოლა, როგორც ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალა.

სხვადასხვა თეორიული პარადიგმების ავტორთა განსხვავებული პოზიციები გახდა საფუძველი მწვავე თეორიული დავისა, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო – პოლიტიკურ მეცნიერებას მისი დაბადების დღიდან დღემდე. შედარებით მასშტაბურმა და ხანგრძლივმა დისკუსიამ მიიღო სახელწოდება „დიდი დებატები“ (Grend Debats) პირველ ასეთ დავას სათავე დაუდო ინგლისელი ისტორიკოსის ედუარდ ქარის ნაშრომმა 1930 – იანი წლების დასაწყისში, რომელიც ჰანს მორგენთაუმ და პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლებმა გააგრძელეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იდეალისტური პარადიგმის წარმომადგენლებთან. მაგრამ დებატების პიკი მოდის გასული საუკუნის 60-70 –იან წლებზე, რომელიც არ წყდება დღემდე.

თემა V. „დიდი დებატები“: პოლიტიკური რეალიზმის ადგილი

პირველი დიდი პოლემიკა რელისტებსა და იდეალისტებს შორის ეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერ-თობების მონაწილეები და ბუნება, მიზნები და საშუალებები, საერთაშორისო პროცესები და ა.შ. მაგრამ მეორე დიდი დავა, რომელიც დაიწყო 1950-იან წლებში და განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა 1960-იან წლებში გაიმართა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი მიდგომებისა და მეთოდოლოგიის მიმდევრებს შორის. სწორედ ასეთ მიმდინარეობებს ეკუთვნოდნენ „მოდერნისტები“ და „ტრადიციონალისტები“. მათ შორის პოლემიკას ხელი შეუწყო საერთაშორისო – პოლიტიკური მეცნიერების ახალი თაობის – ქუინსი რაიტის, მორტონ კაპლანის, კარლ დოიჩის, დევიდ სინგერის, კალევი ჰოლსტის, ერნსტ ხაასის და სხვათა გამოკვლევებმა. ისინი ცდილობდნენ დაეძლიათ კლასიკური ტრადიციების ნაკლი და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისათვის მიეცათ გაცილებით ღრმა მეცნიერული სახე. რიგ საკითხებში მათ გამოიყენეს ზუსტ მეცნიერებათა ტრადიციული მეთოდები. ასეთი მეთოდები გამოიყენებოდა არა მარტო საერთაშორისო

ურთიერთობების, არამედ სხვა სოციალურ რეალობათა გასაანალიზებლად, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო საზოგადოებრივ მეცნიერებებში პოზიტივიზმის როლის გაძლიერებას, თუმცა მისი ფესვები ჯერ კიდევ XIX ს-დან იღებდა სათავეს ევროპულ სინამდვილეში (სენ – სიმონი, ოგიუსტ კონტი).

საერთაშორისო ურთიერთობებში პირველად ასეთი მეთოდები გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ქუინსი რაიტმა. ასეთი მიდგომა, პირველ რიგში, უარს ამბობდა საერთაშორისო ურთიერთობებს აპრიორულ, დეტერმინისტულ ხედვაზე, თუმცა როგორც მ. მერლი აღნიშნავდა გასული საუკუნის 70-იან წლებში ამგვარი მიდგომა იმასაც არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია უარი იქნას ნათქვამი გლობალურ,ახსნად ჰიპოთეზაზე. სოციალურ მეცნიერებათა დარგის სპეციალისტები ასეთ შემთხვევაში იყენებდნენ ან ჩარლზ დარვინის თეორიას სახეობათა შორის ბრძოლაზე და მიმართავდნენ მის მარქსისტულ ინტერპრეტაციას, ან კიდევ გ. სპენსერის ორგანულ ფილოსოფიას, რომლის საფუძველშიც მოცემულია ბიოლოგიური და სოციალური მოვლენების საფუძველთა იდენტიფიკაცია. ისევე როგორც ავადმყოფობის შემთხვევაში ადამიანის ნებისმიერ ორგანოს სჭირდება მკურნალობა, ანალოგიურია საზოგადოების სოციალურ – პოლიტიკური

პრობლემებიც. სადაცაა პრობლება იქაა საჭირო ქმედითუნა-
რიანი ჩარევა. აშშ-ის პოზიტივისტებიც ცოცხალ ორგანიზმს
ადარებდნენ საზოგადოებას, რომლის სიცოცხლისუნარიანობაც
მისი სხვადასხვა ფუნქციების დიფერენციასა და კოორდი-
ანციაზეა დაფუძნებული. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო
ურთიერთობების, ისევე როგორც სხვა სახის საზოგადოებრივი
ურთიერთობების შესწავლა უნდა განხორციელდეს თანმიმდევ-
რულად: თავდაპირველად საჭიროა მისი მონაწილეების ფუნქცი-
ების შესწავლა, შემდეგ უნდა შევისწავლოთ ამ ფუნქციების
მატარებლების ურთიერთმოქმედება; და ბოლოს საკუთარი
სოციალური ორგანიზმის გარემომცველი სამყაროს ადაპტა-
ციასთან დაკავშირებული პრობლემები. აქედან გამომდინარე,
როგორც მ. მერლი აღნიშნავს უნდა გამოვყოთ ორი მიმარ-
თულება. პირველს მთავარი ყურადღება გადააქვს მონაწილე
პირების მოქმედებაზე, მეორეს სხვადასხვა ტიპების ამგვარი
ქმედების არტიკულაციაზე. შესაბამისად პირველმა სათავე
დაუდო ბიხევიორიზმს, ხოლო მეორემ – ფუნქციონალიზმსა
და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემურ მიდგომას.

მართალია მოდერნიზმი გარკვეულ რეაქციას გამოხატავდა,
პოლიტიკური რეალიზმის ნაკლოვანებებზე, მაგრამ მეთოდო-
ლოგიურ და თეორიულ ჭრილში იგი მაინც ვერ იქცა

ერთსახოვან მიმდინარეობად. მის ნაკლოვან მხარედ შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის ფაქტობრივი უარყოფა, საკვლევ ობიექტთა კვლევისას ფრაგმენტულობა და მნიშვნელოვანწილად სუბიექტივიზმი, თუმცა მოდერნისტული მიმდინარეობის ბევრი წარმომადგენელის შრომებმა სერიოზულად გაამდიდრა საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. მოდერნიზმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საერთაშორისო მოქმედი პირის პრობლემას, გვიჩვენა საერთაშორისო ურთიერთობების არასახელმწიფოებრივი მონაწილეების მნიშვნელობა.

უნდა ითქვას, რომ მეორე „დიდ პოლემიკაში" ადგილი ვერ ჰპოვა საერთაშორისო ურთიერთობების ძირეულმა საკითხებმა, განხილვა მოხდა მხოლოდ მეთოდოლოგიური პრობლემებისა. ამიტომ მათი შეხედულებანი მნიშვნელოვნად არც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მეორე დავა არ ატარებდა „პარადიგმალურ" ხასიათს. მოდერნისტები ფაქტიურად ეჭვქვეშ არ აყენებდნენ თავიანთი ოპონენტების თეორიულ პოზიციას, გარკვეული თვალსაზრისით იზიარებდნენ კიდეც მას, ოღონდ მის დასასაბუთებლად იყენებდნენ სხვაგვარ მეთოდებს, სხვა ენას. საერთო ჯამში საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური ხედვა შეუვალი დარჩა. ამი-

ტომაც მეორე დავამ სერიოზული გარძელება ვერ ჰპოვა და მხარეები მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებამდე, რომელშიც ერთგვარად შეჯერდა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის „ტრადიციული“ და „მეცნიერული“ მეთოდები.

„მესამე დიდი პოლემიკის“ (1970-იანი წლების ბოლოს 1980-იანი წლების დასაწყისი) ცენტრში მოექცა სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილის როლი, ეროვნული ინტერესებისა და ძალის მნიშვნელობა საერთა-შორისო არენაზე მიმდინარე პროცესების შესწავლისათვის.

სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომელთაც პირობითად შეიძლება ეწოდოთ „ტრანსნა-ციონალისტები“ (რობერტ კოხენი, ჯოზეფ ნაი, იელ ფერგიუსონი, ჯონ გრემი, რობერტ მანსბეჩი და სხვ.), აგრძელებდნენ რა ინტეგრაციისა (დევიდ მიტრანი) და ურთიერთდამოკიდებუ-ლების თეორიის (ერნსტ ხაასი, დევიდ მოურსი), ტრადიციებს, წინ წამოსწევდნენ საერთო იდეას, რომლის თანახმადაც პოლიტიკური რეალიზმი და მისთვის დამახასიათებელი ეტატისტური პარადიგმა არ შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათსა და ძირითად ტენდენციას, და ამიტომაც უნდა იყოს უარყოფილი. საერთაშორისო ურთიერ-თობები მნიშვნელოვნად სცილდება ეროვნულ ინტერესებსა

და ძალისმიერ ურთიერთბრძოლაზე დაფუძნებულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ჩარჩოებს. სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო მონაწილე, (აქტორი) კარგავს თავის მონოპოლიას. საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობენ ინდივიდები, წარმოებები, ორგანიზაციები, სხვა არასახელმწიფოებრივი გაერთიანებები. მინაწილეთა მრავალფეროვნება, კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა, ეკონომიკური გაცვლები და ა.შ. კომუნიკაციები, პარტნიორული ურთიერთობები უნივერსიტეტებს, რელიგიურ გაერთიანებებს შორის, თანდათან გამოდევნის სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრიდან და ხელს უწყობს იმგვარი ურთიერთობების ტრანსფორმაციას, რომელიც „ინტერნაციონალურიდან" (სადაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გადამწყვეტია) გარდაიქმნება „ტრანსნაციონალურად" (სადაც ურთიერთობები ხორციელდება სახელმწიფოს გარეშეც).

კავშირებისა და ტრანსპორტის საშუალებების რევოლუციურმა ცვლილებებმა, მსოფლიო ბაზარზე სიტუაციის მკვეთრმა ტრანსფორმაციამ, ტრანსნაციონალური კორპორაციების რიცხვისა და მნიშვნელობის ზრდამ ხელი შეუწყო მსოფლიო განვითარების ახალ ტენდენციას. მასში წამყვან ადგილს იჭერს: მსოფლიო ვაჭრობის ზრდა, მოდერნიზაციის პროცესების

გავრცელება, ურბანიზაცია და კომუნიკაციის განვითარება განვითარებად ქვეყნებში, პატარა სახელმწიფოების როლის ზრდა საერთაშორისო არენაზე, დიდი სახელმწიფოების შესაძლებლობების შესუსტება გარემომცველი სამყაროს გასაკონტროლებლად. ამ პროცესების ობიექტურ შედეგად გვევლინება მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ზრდა და ძალის როლის შესუსტება საერთაშორისო არენაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალიზმი იდეურად უახლოვდება კლასიკურ იდეალიზმს. „დიდ დებატებში" მონაწილეობას იღებდნენ რეალისტები და ნეორეალისტები. თავიანთ ოპონენტებთან პოლემიკისას ნეორეალისტები აღ-ნიშნავდნენ, რომ ტექნიკური პროგრესი და ფინანსური ბაზრის სფეროების გაცვლა არათუ დამოკიდებულს ხდის სახელმ-წიფოს თავის საგარეო ეკონომიკურ პარტნიორებზე, არამედ პირიქით, ეს დამოკიდებულება მცირდება. როგორც კ. უოლცი წერდა XX ს-ის ბოლოს დიდ სახელმწიფოებს ავტარქიისა-თვის გააჩნიათ გაცილებით დიდი შესაძლებლობანი, ვიდრე წარსულში. დრომ აჩვენა, რომ რეალისტური პარადიგმა გამოირჩევა სიცოცხლისუნარიანობით, გაუძლო გამოცდას და შესაბამისობაშია სხვადასხვა ცვლილებებთან.

მესამე დავა შეეხო რალისტური პარადიგმის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პოსტულატს – სახელმწიფოს, როგორც

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილის როლს. ეს პოლემიკა მიმდინარეობდა ბიპოლარული მსოფლიოს არსებობის პირობებში და იმპულსი შესძინა ახალი თეორიული მიდგომების და პარადიგმების წარმოშობას.

საკონტროლო კითხვები:

1.რა ადგილი უჭირავს ადამიანის ბუნებას რეალისტური პარადიგმის წინამორბედი ტრადიციების ავტორთა შემოქმედებაში?

2.რა ძირითადი საფუძველი გააჩნია დავას პოლიტიკურ რეალიზმსა და ლიბერალურ – იდეალისტურ პარადიგმას შორის?

3.როგორ გესმით საერთაშორისო ურთიერთობების კლასობრივი ბუნება მარქსისტული პარადიგმის მიხედვით?

4.მყარია თუ არა თანამედროვე რეალობაში პოლიტიკური რეალიზმის პოზიცია? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ლიტერატურა:

1.ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006

2.საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (ქრესტომატია), თბ., 2002

3.Ãî ááñ Ò Ëåâèòàí // Èçáð. ñî ÷.: Â 2ò. Ò 2.Ì ., 1991

4.Êàí ò È. Ê âå÷í î ì ó ì è ðó // È ì ì àí óè ë Êàí ò. Ñî ÷è í åí è ÿ â 6ò. Ò:. Ì ., 1966

5.Êè ññè í äæåð Ã. Äè ï ëî ì àòè ÿ. Ì ., 1997

6.Êëàóçåâè ö Ê. ô î í . Î âî é í å, Ì ., 1996Ì î ðãåí òàó Ã. ï àëè òè ÷åñêè å î òí î ø åí è ÿ ì åæäó í àöè ÿì è. Áî ðüáà çà âëàñòü è ì è ð// ñî öè àëüí î – ï î ëè òè ÷åñêè é æóðí àë. 1997. ¹ 2

7.Ôóêè äè ä. È ñòî ðè ÿ: â2 ò. Ì .: è çä. Ì .è Ñ. Ñàâàø í è êî âû õ, 1915 (Ðåï ðè í ò ÒÎ Î «Ï ðî ëî ã» Ì ., 1994)

8. Öè ãàí êî â Ï .À. Òåî ðè ÿ ì åæäóí î ðî äí û õ î òí î ø åí è é. Ì . 2004

9.Aron R. Paix et Guere entre les nations. P., 1982

10.Bull H. International Theory: The Case for a Classical apporoach//World Politics. 1966. Vol XVIII

11.Hoffman S. Theorie et relations internationales//Revue francaise de science politique. 1961 Vol. XI

12.Marle M. Sociologie des relations internationales. P., 1974

13.Keohane R.O. and Nye, J.S.(Jr). Power and Interdependence. Cambridge, MA, 1989

თავი IV. თანამედროვე სკოლები და მიმართულებები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

თემა I. ნეორეალიზმი

დისკუსიამ საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობებს შორის სერიოზულად გაამდიდრა საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერება. კანონიკურ პარადიგმებს შორის დავამ თავისი ასახვა ჰპოვა საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკულ ცხოვრებაში. თითოეულ მათგანს გააჩნდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. მაგრამ ამ მეცნიერული პოლემიკით ეს პარადიგმები თითქოს ავსებენ კიდეც ერთმანეთს და ამ ურთიერთგამდიდრებით ამდიდრებენ მეცნიერებას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიმდინარეობების სინთეზი არ მომხდარა, რომელიმე მათგანს რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა მეორეზე არ მოუპოვებია; ამიტომაც დაიწყო ახალი დისკუსია, შემოთავაზებულ იქნა ალტერნატიული გზები საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის შესასწავლად. 1980-იანი წლებიდან გაიშალა დისკუსია ნეორეალიზმსა და ნეოლი-

ბერალიზმს შორის. ასევე თავისი სიტყვა თქვა ნეომარქსიზმმაც, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი ყველაზე გავლენიანი პარადიგმებია.

რეალიზმის თეორიის განვითარებამ სათავე დაუდო მის თანამედროვე სახესხვაობას ნეორეალიზმს. ნეორეალიზმის აღმოცენებას უკავშირებენ ამერიკელი მეცნიერის ქენეთ უოლცის ნაშრომს „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია", რომელიც პირველად გამოიცა 1979 წ.

პოლიტიკური რეალიზმისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც საერთაშორისო ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათი ადამიანის ურთულესი ბუნებითაა განპირობებული, ნეორეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე მოვლენებს, საერთაშორისო სისტემას უკავშირებს და ამ სისტემაში გაბატონებულ თავისებურებებს მიიჩნევს საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად. ნეორეალიზმის თანახმად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს საერთა-შორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული მახასიათებელი არაა დამოკიდებული პატარა ან საშუალო სახელმწიფოების რაიმე მცდელობაზე, ესაა შედეგი დიდი სახელმწიფოების ურთიერთმოქმედებისა.

ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი საერთაშორისო ურთიერთობების „ბუნებრივი მდგომარეობა“. რაც შეეხება დიდი და სხვა სახელმწიფოების ურთიერთ-ქმედებას, ეს უკვე ერთმნიშვნელოვნად აღარ შეიძლება იყოს შეფასებული, როგორც ანარქიული, რადგან თანდათან იძენს ისეთ ფორმებს, რომელიც უმთავრესად დიდი სახელმწიფოების ნებაზეა დამოკიდებული.

ჯერ კიდევ 1959 წელს ქენეტ უოლცი თავის წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“ აღნიშნავდა, რომ კონფლიქტის (უმთავრესად შეარაღებული კონფლიქტის) სამი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ იმის მიხედვით, რასაც სხვადასხვა მკვლევარები მიიჩნევენ ამ კონფლიქტის მასაზრდოებელ წყაროდ: ერთნი ყურადღებას ამახვილებენ თავად ადამიანის ბუნებაზე, მის ფიზიოლოგიურ და მორალურ ღირსებაზე (ეგოისტური ბუნება, აგრესიული იმპულსები, დაბალი ინტელექტი) სხვები კონფლიქტის მიზეზებს უკავშირებენ სახელმწიფოს შინაგან ბუნებასა და ატრიბუტებს (ავტორი-ტარული თუ დემოკრატიული მმართველობა საბაზრო თუ გეგმიურ – საგანმანაწილებლო ეკონომიკა და ა.შ.) მესამენი კი გამოყოფენ კონფლიქტის სისტემურ მახასიათებლებს. უოლცი თვლის, რომ მიუხედავად მათი ღირსებისა, პირველი

ორი ატარებს რედუქტიულ ხასიათს და მათ არ ძალუძთ კონფლიქტის ჭეშმარიტი მიზეზების გამოვლენა; აქედან გამომდინარე, ისინი ვერ დასახავენ ამ კონფლიქტის დაძლევის გზებსაც. მხოლოდ მესამე, სისტემური მიდგომა შეიძლება იყოს ნაყოფიერი.

ქენეტ უოლცის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური ხასიათი განპირობებულია არა საერთაშორისო არენაზე მოქმედი სახელმწიფოების ურთიერთქმედებით, გამომდინარეობს არა სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან, – გეოგრაფიული მდებარეობა, დემოგრა-ფიული პოტენციალი, სოციო – კულტურული სპეციფიკა და ა.შ. (თუმცა ამ თავისებურებათა უარყოფაც შეუძლებელია), არამედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული მახასია-თებლებით. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა თავისთავად წარმოადგენს განსაკუთრებულ ფენომენს, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოებს თავს მოახვიოს ეს თუ ის შეზღუდვა ან კიდევ პირიქით შეუქმნას მათ განვითარების ხელსაყრელი პირობები საერთაშორისო არენაზე. სწორედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული თავისებურებებითაა ნაკარნახევი სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის მიზნებისა და ინტერესების შეუთავსებლობა.

კითხვაზე თუ რატომ იქცევიან სხვადასხვა პოლიტიკური წყობისა და იდეოლოგიის სახელმწიფოები მსგავსად შესაბამის საერთაშორისო სიტუაციებში, უოლცი პასუხობს, რომ არსებობს კორელაცია სახელმწიფოების საგარეოპოლიტიკურ ქცევებსა და ე.წ. სისტემურ დაძაბულობას შორის. ამგვარად ხდება სახელმწიფოს ქმედების განსაზღვრა სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში საერთაშორისო სტრუქტურის დონეზე. თავად სტრუქტურა კი გვევლინება, როგორც შეზღუდვებისა და იძულებითი პირობების ნაკრები. ამიტომ საერთაშორისო პოლიტიკის მართებული გააზრება და შესაბამისად პროგნოზირება (ისევე როგორც სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური ხაზის განსაზღვრა) დამოკიდებულია ზემოთხსებული იძულების განსაზღვრის სიზუსტეზე. ამგვარ იძულებათა ერთობლიობას უოლცი გამოყოფს სამი ძირითადი ელემენტით: წამყვანი პრონციპი (საერთაშორისო ურთიერთობების ანარქიულობა), სუბიექტთა შესაძლებლობების განაწილება (მათი ძალის შესაბამისად) და ფუნქციონალური დიფერენციაცია (სუბიექტებს შორის შიდაპოლიტიკურ რეჟიმებს შორის განსხვავება).

აქდან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ საერთაშორისო სისტემის წამყვანი პრინციპი მისი ანარქიულობა არ იცვლება

ათასწლეულების მანძილზე, რამდენადაც არა გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო სისტემის რეფორმირების ყველა პროექტი, რომელიც ეფუძნება ლიბერალურ – იდეალისტურ პარადიგმას წინასწარვე განწირულია დასამარცხებლად.

ნეორეალიზმის თანახმად, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული მახასიათებლები უშუალოდაა დაკავშირებული დიდი სახელმწიფოების ურთიერთქმედებასთან და ნაკლებად ეხება პატარა და საშუალო სახელმწიფოებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების „ბუნებრივი მდგომარეობა“ მხოლოდ დიდი სახელმწიფოებისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება მსხვილი სახელმწიფოებისა და დანარჩენი ქვეყნების ურთიერთობებს, ეს უკვე არ შეიძლება შეფასებულ იქნას ერთმნიშვნელოვნად როგორც ანარქიული, რადგანაც პატარა სახელმწიფოები უპირატესად აკეთებენ იმას, რასაც კარნახობენ ზესახელმწიფოები. კენეთ უოლცი აღნიშნავს, რომ „დიდი ამოცანები მხოლოდ დიდი შესაძლებლობების მქონე ერთეულებმა შეიძლება შეასრულონ. სწორედ ამიტომ სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოები, მოწოდებულნი არიან, გააკეთონ ის, რაც მსოფლიოს გადარჩენისათვის არის საჭირო. მაგრამ სახელმ-

წიფოებმა უნდა გააკეთონ ისიც, რაც საკუთრივ მათი გადარ-ჩენისთვის არის აუცილებელი, რადგან ვერავინ დარჩება ამ საქმეში სხვის იმედად".

ნეორეალისტებმა დიდი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში ცივი ომის შემდეგაც. მაგ. კოლინ გრეი საჭიროდ მიიჩნევს საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო ძალის როლის შენარჩუნებას – უმთავრესად კი იმ საკითხებში, რომლებიც ბირთვულ შეიარაღებას ეხება. ბერი ბუზანი, ჯონ მირშაიმერი დღეს უკვე სერიოზულად სწავლობენ ეთნიკურ კონფლიქტებს. ნეორეალისტებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მიაქციეს ყურადღება ურთიერთდამოკიდებულების თეორიული სკოლის, ტრანსნაციონალიზმისა და გლობალიზმის სუსტ მხარეებს, სახელმწიფოს ცვალებადი როლის აბსოლუტიზაციას. აღიარებს რა სახელმწიფოს უმთავრეს საერთაშორისო აქტიორად, უოლცი სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებას მიიჩნევს ცვალებადი საერთაშორისო რეალობის მხოლოდ ემოციურ აღქმად, სინამდვილეში კი ეს ურთიერთდამო-კიდებულება არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მიკროდონეზე, რაც გამოიხატება ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) პოზიციების გაძლიერებით მსოფლიო ეკონომიკაში და არსებით

გავლენას ვერ ახდენს სახელმწიფოს როლზე. უფრო მეტიც, არცთუ ისე ბევრი მსხვილი სახელმწიფოს ხელში ძალაუფლების კონცეტრაცია მეტყველებს იმაზე რომ ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის შემცირდა კიდეც: ევროპა XVII–XIX საუკუნეებში გაცილებით ურთიერთ-დამოკიდებული იყო, ვიდრე დღესაა. მაგ. ჯოზეფ გრიკო მიუხედავად იმისა, რომ იზიარებს მოსაზრებას თანამედროვე ეკონომიკურ გაცვლებში პროტექციონისტული ზომების იშვიათ შემთხვევაში გამოყენების შესახებ, ამ ფაქტს არ მიიჩნევს ურთიერთდამოკიდებულების გამოხატულებად. იგი გვიჩვენებს, რომ იმავდროულად ხდება არასატარიფო ბარიერების როლის ზრდა. გრიკოს აზრით, სინამდვილეში არაფერი არ შეცვლილა. მსოფლიო პოლიტიკას კვლავ წარმართავენ უძლიერესი სახელმწიფოები, რაზედაც მეტყველებს მაგ. აშშ-ს სუბსიდიები ცალკეულ სახელმწიფოთა წამოწყებებზე, რომელიც ხელს უწყობს ამ ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების წახალისებას, ასევე ამერიკელთა შეთანხმება იაპონელებთან ზოგიერთი სახის პროდუქციის აკრძალვის შესახებ, რათა საფრთხე არ შექმნოდა აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს, და ბოლოს ნეორეალისტები ნაჩქარევად თვლიან ლიბერალთა დასკვნებს იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ეპოქაში არავითარი სარგებელი არ გააჩნია

ტერიტორიულ მონაპოვარებსა და სუსტი ქვეყნების ექსპლუატაციას. ვფიქრობთ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემები გარკვეულ წილად ამ აზრს ამყარებს.

აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რატომაა ნეორეალიზმი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პარადიგმა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში. ნეორეალიზმი დღესაც რჩება ექსპერტთა და საერთასშორისო პოლიტიკის სპეციალისტთა კვლევის საგნად, თუმცა მას გააჩნდა რიგი სუსტი მხარეებიც.

ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ნეორეალიზმის სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს „ბუნებრივი მდგომარეობის" მარადიულობა და უცვლელობა, რაც გულისხმობს ძალთა ბალანსით საერთაშორისო სისტემის სტაბილიზაციას. ანუ საერთაშორისო სისტემის სტატიკურ მდგომარეობას. რიგი ავტორებისა თვლიან, რომ ნეორეალიზმის აღორძინება განახლებული სახით უკავშირდება არა იმდენად ამ თეორიული სკოლის განსაკუთრებულობასა და უპირატესობას, რამდენადაც სხვა თეორიებს მრავალსახოვნებასა და სისუსტეს. რიგ შემთხვევაში ნეორეალიზმმა არა მარტო გაიმეორა კლასიკური რეალიზმის ზოგიერთი ნაკლი, არამედ გარკვეული პრიმიტიზირებაც მოახდინა კლასიკური ტრადიციისა. ნეორეალიზმი საწყის ეტაპზე წარმოადგენდა „ორი სახელმწიფოს თეორიას". თავად

ქენეთ უოლცი თვლიდა, რომ მისთვის არსებობდა მხოლოდ ორი სუპერსახელმწიფო. ცივი ომის დამთავრების შემდეგაც კი ურთიერთდამოკიდებულების ერთადერთ ნიშნად ნეორეალისტები ბირთვული იარაღის არსებობას მიიჩნევენ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (მსო) ნეორეალისტები არ თვლიან ურთიერთდამოკიდებულების გამოხატულებად. ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებსაც ისინი „საერთა-შორისო ურთიერთობების ბუნებრივი მდგომარეობით“ ხსნიან. ესაა ძალთა ბალანსის შენარჩუნება მსოფლიო მასშტაბით. მაშინ როდესაც საერთაშორისო ვითარება თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად შეიცვალა. მსოფლიო ომის საფრთხე თითქმის არ არსებობს. ასევე ნაკლებადმოსალოდნელია ფართომასშ-ტაბიანი ომი მსხვილ სახელმწიფოებს შორის. პირიქით, გაიზარდა სხვაგვარი სახის საფრთხეები. ეს, პირველ ყოვლისა, ეხება მსოფლიო ეკონომიკას. აქ მიმდინარე პროცესები სულ უფრო და უფრო მზარდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე. იცვლება თანაფარდობა საშინაო და საგრეო პოლიტიკას შორის. ეს პროცესები კი ნაკლებად აისახება ნეორეალისტურ მიმდინარეობაში. სამაგიეროდ მას ფართოდ ეხება ნეოლიბერალური სკოლა.

თემა II. ნეოლიბერალიზმი

ცივი ომის დასრულებამ და მსოფლიო არენაზე მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა ახალი იმპულსი შესძინა ლიბერალურ-იდეალისტური პარადიგმის აღორძინებას. თუმცა შეცვლილმა მსოფლიომ, რამდენადმე შეცვალა ამ თეორიული მიმდინარეობის სახეც. მსოფლიო რუკაზე ახალი სუვერენული სახელმწიფოების გამოჩენამ ნათლად დაანახა კაცობრიობას, რომ სახელმწიფოს გაქრობასა და სუვერენიტეტის შეზღუდ-ვებსა თუ უარის თქმაზე საუბარი ნაადრევია. პირიქით, დამოუკიდებლობის სანუკვარი ოცნება აუხდა ბევრ სახელმ-წიფოს და „საყოველთაო მთელის" სანაცვლოდ ამ სუვერენი-ტეტს ახლა ძნელად თუ შეელევა ვინმე. ამასთანავე თავი იჩინა უსაფრთხოების ახალმა, არატრადიციულმა საფრთხეებმა, რომლის გამოძახილსაც ვპოულობთ არა მარტო რეალისტური თეორიის მიმართულებებში, არამედ ლიბერალური ტიპის თეორიულ აზრშიც. მსოფლიო გლობალური ეკონომიკური პროცესებისა და დემოკრატიის გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში თან ახლდა ახალი პრობლემებისა და კონფლიქტების აღმოცენება. ნეოლიბერალიზმი, რომელიც ცდილობს ნათლად ასახოს თავის თეორიაში ყველა ეს მოვლენა, იმავდროულად მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული ლიბერალურ – იდეალისტური პარადიგმისაგან.

ნეოლიბერალიზმი, პირველ ყოვლისა, წინ წამოსწევს უსაფრთხოების პრობლემებს, ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკურ პრობლემებზე, საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე მორალურ ნორმებს ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთადერთ დამარეგულირებელ და ჯანსაღ, დინამიურ ძალას. ამასთანავე რიგ საკითხებში მისი პოზიცია უახლოვდება ნეორეალიზმის პოზიციას.

კანონიკური ლიბერალიზმის მსგავსად ნეოლიბერალიზმი სახელმწიფოს მიიჩნევს საერთაშორისო არენაზე არა ერთადერთ და ზოგჯერ არამთავარ მონაწილედ. აქ მთავარ როლს თამაშობენ ტრანსნაციონალური ფინანსური და სამრეწველო ჯგუფები. ამ ჯგუფებისათვის სულ უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება სახელმწიფო, და არა მარტო მათთვის: სახელმწიფოზე უკვე სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ სხვადასხვა არასამთავრობო გაერთიანებანი, ტერორისტული და კრიმინალური დაჯგუფებები, პროფესიონალური ასოციაციები და კერძო ინდივიდებიც კი. დღეს თითოეულ მათგანს შეუძლია სახელმწიფოზე მოახდინოს იმდენად დიდი გავლენა, რომ შეიძლება სახელმწიფომ იმოქმედოს კიდეც მათი კარნახით და ჩაერთოს მათთან პირდაპირ შეჯიბრში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ნეოლიბერალებს საინ-ტერესო ხედვა აქვთ უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავ-შირებით. ცივი ომის შემდგომ პერიოდში ის მექანიზმები რომელთაც გარკვეული წესრიგი შეჰქონდა მსოფლიო უსაფრ-თხოების გზაზე მოძველდა. თავი იჩინა ახალმა პრობლემებმა-საერთაშორისო დანაშაული და ტერორიზმი; არასტაბილური სიტუაცია, ბირთვული იარაღის გავრცელების საშიშროება, სიღარიბე პლანეტის რიგ ადგილებში ეთნიკური კონფლიქტები – ყველა ეს პრობლემა ელის გადაწყვეტას და მასზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს საერთაშორისო თანამე-გობრობა. ამიტომაც ნეოლიბერალები გამოსავალს კოოპე-რაციული უსაფრთხოების კონცეფციაში ხედავენ.

ამიტომაც ნეოლიბერალიზმი ტრადიციული ლიბერალ – იდეალისტური პარადიგმის მსგავსად არათუ შესაძლებლად მიიჩნევს საერთაშორისო თანამშრომლობას, არამედ აუცი-ლებლადაც კი თვლის მას სტაბილურობის, სოციალური პროგრესისა და მსოფლიო წესრიგის გზაზე. საერთაშორისო ურთიერთობებში ნეოლიბერალები ხედავენ პროგრესს. მათი ხედვით იგი ვითარდება. ამაზე მეტყველებს მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის, ინდივიდუალური თავისუფლების გავრცელება, ურთიერთდამოკიდებულება, განათლების ზრდა

და ახალი ტექნოლოგიები. მაგრამ პროგრესი საერთაშორისო ურთიერთობებში თავისთავად არ მიმდინარეობს. უაღრესად ფართო მასშტაბებს იძენს საერთაშორისო თანამშრომლობა. იგი აუცილებელია არა მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობის სტაბილური მდგომარეობისა და უსაფრთხოებისათვის, არამედ იმავდროულად საშუალებაცაა ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის გზაზე. (ამ თვალსაზრისს უფრო დაწვრილებით ეხება პ. ვენესონი).

ლიბერალური მიმდინარეობისათვის განმსაზღვრელი იმპერატივი მუდამ იყო მორალი და სამართალი საერთაშორისო არენაზე. ამ მხრივ ისინი დგამდნენ სერიოზულ ნაბიჯებს. იძლეოდნენ საინტერესო და ხშირ შემთხვევაში სასარგებლო რეკომენდაციებს, რაც გამოიხატებოდა საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნის წინადადებებში, რომელიც უნდა ყოფილიყო გარანტი მსოფლიო უსაფრთხოების გზაზე. მაგრამ მორალურ და სამართლებრივ პრინციპებს ისინი არ უპირისპირებდნენ ერთმანეთს. სამართალი განიხილებოდა, როგორც საერთაშორისო მოვლენების შეფასებისას მორალური პრინციპებისა და კრიტერიუმების ფიქსირებული კრებული, ასევე როგორც საერთაშორისო აქტორების ურთიერთობათა მარეგულირებელი საფუძველი.

ნეოლიბერალიზმში უპირატესობა ენიჭება მორალურ ნორმებს, ხოლო მორალური კრიტერიუმების განმსაზღვრელია ლიბერალური დემოკრატია და ადამიანის უფლებები. ამიტომაც ნეოლიბერალიზმის თანახმად შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებს მსოფლიო სოციუმთან შედარებით მეორადი მნიშვნელობა აქვს, ასევე ცალკეულ ინდივიდსაც უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა ენიჭება მსოფლიო სოციუმსა და ინდივიდს.

აქედან გამომდინარე შეიძლება დაისვას კითხვა: ესოდენ დიდია განსხვავება ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის? ნეორეალიზმში ხომ სახელმწიფო და მისი ინტერესებია გადამწყვეტი. მაგრამ სინამდვილეში განსხვავება არც ისე მკვეთრია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ნეორეალიზმში სახელმწიფოთა ქცევა საერთაშორისო არენაზე დამოკიდებულია საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ შესაძლებლობებზე, ხოლო ნეოლიბერალები სულ უფრო ხშირად აკეთებენ აქცენტს სახელმწიფოზე.

ნეოლიბერალიზმსაც და ნეორეალიზმსაც ზოგჯერ რაციონალურ თეორიულ მიმდინარეობებსაც უწოდებენ, რადგან ერთიცა და მეორეც აქცენტს აკეთებს რაციონალურ

პოლიტიკაზე და არა ემოციებზე. მათი გათვლები ყოველთვის რაციონალურია. ერთი ეფუძნება ძალაუფლების პრიმატს (ძალთა ბალანსი, მუქარა) მეორე – ნეოლიბერალიზმი მატერიალურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას. არავითარი სხვა ფაქტორები არ თამაშობს მათთვის სერიოზულ როლს – არსებობს მხოლოდ ეკონომიკური და სახელისუფლებო ძალაუფლების ინტერესები. შესაბამისად ბრძოლა ამ ინტერესთა რეალიზაციისათვის ხელისუფლების გაძლიერებისა და სიმდიდ-რისათვის განსაზღვრავს კიდეც საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს.

თემა III. დავა ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის

ნეორეალისტურ და ნეოლიბერალურ თეორიულ სკოლებს შორის დავა მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება შემდეგი ძირითადი საკითხების ირგვლივ:

1. ნეორეალისტები თვლიან, რომ საერთაშორისო ანარქია სახელმწიფოებს კარნახობს გარკვეულ შეზღუდვებსა და იძულებითი ღონისძიებების გატარებას. ნეოლიბერალებისათვის ეს შეზღუდვები ასევე არსებობს, მაგრამ მათი აზრით იგი დაძლევადია.

2. განსხვავებულია მათი შეხედულება სახელმწიფოთა-შორისო თანამშრომლობაზე. ნეორეალისტებისათვის იგი უკავშირდება საერთო სამხედრო უსაფრთხოების პრობლემებს, ნეოლიბერალებისათვის ეკონომიკურ ურთიერთსარგებელს.

3. საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს ნეოლიბე-რალები ასევე ეკონომიკურ სარგებელსა და მოგებას უკავშირებენ. ნეორეალისტები თვლიან, რომ თანამშრომლობის დამკვიდრება რთულია მაშინაც კი, როცა ყველა მხარეს ძალუძს აბსოლუტური მოგების მიღება, რადგან არცერთ სახელმწიფოს არ სურს ნაკლები აბსოლუტური მოგება, ვიდრე სხვა სახელმწიფოს. ამიტომ შედარებითი მოგება წარმოშობს უკმაყოფილებას, რაც ხელს უშლის თანამშრომლობას.

4. აზრთა სხვადასხვაობაა სახელმწიფოთა მიზნებისა და თანამშრომლობის საფუძვლების შესახებაც. ნეორეალისტების აზრით, ამ მხრივ მთავარია სახელმწიფოთა სამხედრო უსაფრთხოების პრობლემის შესწავლა, ნეოლიბერალიზმის თანახმად, საერთაშორისო თანამშრომლობაში სახელმწიფოთა ძირითადი მიზანი მაქსიმალური ეკონომიკური აღმავლობაა, თუმცა სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობებს ნეოლიბერალები არ გამორიცხავენ.

5. საყურადღებოა ნეორეალისტური და ნეოლიბერალური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებანი სახელმწიფოთა განზრახვისა და მსოფლიო არენაზე ქცევის შესახებ. ნეორეალისტები მიიჩნევენ, რომ მსოფლიო არენაზე სახელმწიფოთა ქცევას განაპირობებს ერთის მხრივ სისტემური მახასიათებლები და შეზღუდვები, ხოლო მეორე მხრივ მათი რეალური შესაძლებლობები. ამიტომ, რამდენადაც სახელმწიფოთა განზრახვა განუსაზღვრელია, მეცნიერული ანალიზისათვის ის ვერ გამოდგება და სახელმწიფოთა პოლიტიკის შეფასებისას შეიძლება უგულებელვყოთ. ნეოლიბერალები კი – პირიქით, არ უარყოფენ რეალური შესაძლებლობების მნიშვნელობას. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოთა განზრახვას დიდი მნიშვნელობა აქვს და საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას მას სერიოზული ანგარიში უნდა გავუწიოთ.

6. ნეორეალისტები და ნეოლიბერალები საინტერესოდ განიხილავენ საერთაშორისო რეჟიმებსაც. ორივე სკოლა აღიარებს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში მის მნიშვნელობას. თუმცა ნეორეალისტები გადაჭარბებულად მიიჩნევენ ნეოლიბერალთა მოსაზრებებს და შეფასებებს სახელმწიფოთა თანამშრომლობაში რეჟიმთა ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ.

თანამედროვე ეტაპზე ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს შორის სერიოზული დავის საგანია უსაფრთხოების პრობლემა. დისკუსის ეს ეტაპი ფართო შესაძლებლობებს გვაძლევს კარგად გავიაზროთ ის ცვლილებები, რომელიც ამ პარადიგმებში შეინიშნება. ლიბერალურ – იდეალისტურ პარადიგმაში დღეს გაბატონებული თვალსაზრისი მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მარტო ვუდრო უილსონისა და მისი მიმდევრების შეხედულებებისაგან, არამედ 1990-იანი წლების ლიბერალური თვალსაზრისისგანაც, რაც ამ თვალსაზრისთა უარყოფას სულაც არ ნიშნავს; უბრალოდ ამ შეხედულებებმა მეორე რიგში გადაინაცვლა. ცვლილებები უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების პრობლემებს. ამ მხრივ გარკვეულწილად შეინიშნება ნეორეალისტებისა და ნეოლიბერალების პოზიციების დაახლოება. ცხადია, დისკუსიის ცენტრშია კლასიკური თეორიებისათვის დამახასიათებელი უპირველესი პრობლემები: საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა, სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილე და მისი უსაფრთხოების პრობლემები; და ლიბერალური კლასიკური ტრადიციებისათვის წამყვანი – ანარქიის ინსტიტუციონალურ – სამართლებრივი დაძლევის გზები, სახელმწიფოს, როგორც მთავარი მოქმედი

პირის გამოდევნა საერთაშორისო არენიდან და უსაფრთხოების მიღწევა ეკონომიკური, კულტურული და საერთო – საკაცობრიო ფასეულობებზე დაფუძნებული თანამშრომლობით – თითქოს ინაცვლებს მეორე რიგში. დისკუსიამ თითქოს გადაინაცვლა ნეოლიბერალური პარადიგმის არენაზე.

თუ ადრე ლიბერალები საერთაშორისო წესრიგში სამთავრობოთშორისო და არასამთავრობათშორისო მონაწილეების, საერთაშორისო იურიდიული და მორალური ნორმების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მიუთითებენ, დღეს ნეოლიბერალები ანარქიის დაძლევის გზებს სხვაგვარად ხედავენ. მათ მიაჩნიათ, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ძალა საერთაშორისო ურთიერთობების ,,კარგი'' აქტორების მიერ ,,ცუდთა'' წინააღმდეგ, რადგან ამ ,,კარგებს'' გააჩნიათ, როგორც მატერიალური, ისე მორალური უპირატესობა ამ ,,ცუდებთან'' შედარებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მსოფლიოში მშვიდობის დამყარებასა და დემოკრატიულ ფასეულობებს. ამიტომაც უნდა შეიქმნას კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა დემოკრატიული სახელმწიფოების ძალისხმევით.

ნეორეალისტების აზრით, მსოფლიო წესრიგისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველს წარმოადგენს ძალთა

ბალანსი მულტიპოლარულ მსოფლიოში; ნეოლიბერალები პირიქით, მიიჩნევენ რომ უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ დემოკრატიული სამყაროს გაერთიანებისა და დემოკრატიის, როგორც იდეალისა და ღირებულების გავრცელების შედეგად.

საერთო ჯამში კი ნეორეალიზმისა და ნეოლიბერალიზმის ალტერნატიულობა საერთაშორისო – პოლიტიკურ მეცნიერებაში ვფიქრობთ მაინც პირობითია, რადგან მათ გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე განსხვავებული.

თემა IV. ნეომარქსიზმი

თანამედროვე საერთაშორისო – პოლიტიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნეომარქსისტთა შეხედულებებს. ამ მხრივ უნდა გამოიკვეთოს ის ძირითადი საერთო ნიშანთვისებები, რაც ნეომარქსიზმს აკავშირებს ტრადიციულ მარქსიზმთან, ასევე განმასხვავებელი თავისებურებანი.

ნეომარაქსისტული პარადიგმის დამკვიდრებაში უდიდესი როლი ითამაშა არგენტინელი ეკონომისტის რაულ პრებიშის შრომებმა, აგრეთვე იმ მეცნიერთა ჯგუფის მოღვაწეობამ, რომლის სათავეშიც ის იდგა გასული საუკუნის 50-იან წლებში. ეს იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური კომისია ლათინური ამრიკის საკითხებში.

პრებიში და მისი მომხრეები გამოვიდნენ რეალიზმის მკვეთრი კრიტიკით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ შრომის კაპიტალისტურ დანაწილებას არათუ არ მივყავართ ეროვნულ ეკონომიკათა კონვერგაციასთან, არამედ ხელს უწყობს ქვეყნებს შორის პოლარიზაციას.

თანამედროვე ნეომარქსისტებს (ი. ვალერშტაინი, რ. კოქსი, მ. როგალსკი, ი. გალტუნგი) საერთაშორისო ურთიერთობები წარმოდგენილი აქვთ მრავალფეროვანი ეკონომიკის გლობალურ სისტემად, სახელმწიფოებად, საზოგადოებებად, იდეოლოგიებად და კულტურებად. ნეომარქსიზმის საბაზო განმარტება შეიძლება იყოს „მსოფლიო სისტემა“ და „მსოფლიო ეკონომიკა“. განმსაზღვრელი როლი მათ ურთიერთქმედებაში, ცხადია ეკუთვნის „მსოფლიო ეკონომიკას“. ასეთი გაგება ეხება არა მარტო ეკონომიკურ ურთიერთობებს მსოფლიო მასშტაბით, არამედ საერთაშორისო აქტორების ურთიერთქმედებათა სისტემას, სადაც წამყვანი როლი მათ შორის შედარებით ეკონომკურად ძლიერს უჭირავს. თანამედროვე „მსოფლიო ეკონომიკის“ ძირითადი მახასიათებლებია – წარმოების მსოფლიო ორგანიზაცია, ტრანსნაციონალური მონოპოლიების როლის ზრდა საერთაშორისო მასშტაბით, კაპიტალისა და პროდუქციის ბაზრის ინტერნაციონალიზაცია, შრომის ბაზრის

სეგმენტაციასთან ერთად, მოთხოვნილების მოდელის სტან-დარტიზაცია, სახელმწიფოს ჩარევის შესაძლებლობების შემცირება საერთაშორისო ფინანსურ საკითხებში. ნეომარქ-სისტები აკრიტიკებენ თანამედროვე კაპიტალისტურ „მსოფ-ლიო სისტემას", გმობენ სოციალური ხარჯების შემცირებასა და ფისკალური სისტემის შეცვლას შედარებით მდიდართა სასარგებლოდ. ისინი ამტკიცებენ, რომ ყოველივე ამის უპირველესი შედეგია საერთაშორისო სისტემის წევრთა უთანასწორობის ზრდა, რაც საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

ნეომარქსისტები მკვეთრი კრიტიკით გამოდიან მსოფლიო კაპიტალიზმის მთავარი იდეოლოგიის „ჰიპერლიბერალიზმის" წინააღმდეგ. „ჰიპერლიბერალიზმი" მათი აზრით,სახელმწიფოს როლს უპირველესად განიხილავს გლობალური საბაზრო ძალებისადმი მხარდაჭერის პოზიციიდან და უარყოფითად ეკიდება სიმდიდრის გადანაწილებას შედარებით ღარიბი რეგიონებისათვის, რადგან ასეთ დახმარებას „პროტექციო-ნისტურ ჩარევას" უწოდებს. თანამედროვე მსოფლიოში სხვაგვარ პროცესებთან გვაქვს საქმე: ესაა ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სოციოკულტურული და სხვა ორგანიზაციებისა და სტრუქტურების დივერსიფიკაცია,

განვითარების ახალი გზების მოძიება. მაგრამ რადიკალურ – ლიბერალური იდეოლოგია ხელს უწყობს მასობრივი შემეცნების დამკვიდრებას, რომ გლობალიზაციას ალტერნატივა არა აქვს, რადგან საქმე გვაქვს ულმობელ ეკონომიკურ კანონებთან.

ცხადია,ჰიპერლიბერალურ მსოფლიო ეკონომიკას სჭირდება ლიდერი. დღეს ასეთი ლიდერის როლს ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებს, რაც მას გარკვეულწილად პრივილეგი-რებულ მდგომარეობაში ამყოფებს.

,,ჰიპერლიბერალიზმი'' განსხვავებულად განიხილავს ნაცი-ონალურ სუვერენიტეტს. სახელმწიფოს როლი განიხილება მსოფლიო ბაზრისადმი მხარდაჭერის პოზიციიდან. ხოლო მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის როლს თანდათან კარგავს. ზუსტად ისე, როგორც ეს ხდება შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში, მსოფლიო მასშტაბით ნებისმიერი ნაბიჯი, გადადგმული სიმდიდრის გადანაწილებისა და ღარიბ რეგიონთა დახმარებისაკენ განიხილება, როგორც ,,პროტექციონისტური ჩარევა'' და მსოფლიო ბაზრის კანონების ალოგიკური. ამიტომაც რეგიონები სულ უფრო იშვიათად უკავშირებენ თავიანთ ინტერესებს ,,ცენტრს'' ძლიერდება ავტონომიური მოძრაობა: მდიდრებს არ სურთ სიმდიდრე გაუყონ ღარიბებს,

ხოლო ღარიბები თავიანთი პრობლემების გადაწყვეტას მდიდრებთან კავშირში ვერ ხედავენ. (კოქსი 1990).

ყოველივე ეს ხიფათს უქმნის მსოფლიოს, როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. გამოსავალი მხოლოდ ხსენებული ლოგიკის დარღვევაშია. პირველ ყოვლისა კი სახელმწიფოებმა უნდა თქვან უარი საკუთარი განვითარება მსგავს სიტუაციებს დაუმორჩილონ.

სამირ ამინი ირჩევს რა „ანტისისტემური რღვევის" სტრატეგიას განუსაზღვრელ გლობალიზაციას ხუთ ძირითად მონოპოლიას უკავშირებს, ესაა: მონოპოლია ახალ ტექნოლოგიებზე, კონტროლი ფინანსურ შემოსავლებზე, კონტროლი ბუნებრივ რესურსებზე, კონტროლი კომუნიკაციის საშუალებაზე და ბოლოს მასობრივი განადგურების იარაღზე. (ამინი 1997).

ნეორეალისტები ფიქრობენ, რომ აუცილებელია „ანტისისტემური სახალხო ძალების ფრონტის" შექმნა, რომელიც შეძლებს პროგრესული ნაციონალიზმის გზით მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას, რადგან ასეთი ნაციონალიზმი დაუპირისპირდება ნაციონალიზმის ობსკურანტულ, ეთნიკურ, რელიგიურ – ფუნდამენტალისტურ და შოვინისტურ ფორმებს. ამგვარი პროგრესული ნაციონალიზმი არ გამორიცხავს რეგიონალურ თანამ-

შრომლობას. პირიქით იგი ხელს შეუწყობს მსხვილი რეგიონების წარმოქმნას და ეფექტურად დაუპირისპირდება ზემოთმოხსენიებულ ხუთ მონოპოლიას და შესაბამისად იმპერიალისტურ გლობალიზაციას. ამინი ნათლად ხედავს მსოფლიო კაპიტალიზმის მსოფლიო სოციალიზმში გადასვლის პერსპექტივას, მხოლოდ რამდენიმე ეტაპის გავლის შემდეგ.

ამგვარი ხედვა აქვთ ა. გრამშისა და რ. კოქსსაც. მხოლოდ ისინი ამ გარდამავალ პერიოდს „პოზიციურ ომს" უწოდებენ, რომელმაც უნდა დაარღვიოს თანამედროვე იდეოლოგიური კონფორმიზმი.

ამრიგად ნეომარქსიზმს ტრადიციულ მარქსიზმთან აერთიანებს შემდეგი: პირველი, ერთიცა და მეორეც საერთაშორისო უერთიერთობებში პრიორიტეტს ანიჭებს ეკონომიკურ სტრუქტურებს და მის როლს საზოგადოებრივ განვითარებაში. მეორე, ორივე სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებს განიხილავს, როგორც კლასთა ბრძოლის ურთიერთობებს, მესამე, საერთაშორისო გარემოს ორივე მიიჩნევს, როგორც კონფლიქტურ გარემოს, ხოლო მთავარი პრბლემა ესაა ექსპლუატაციისა და ბატონობისაგან გათავისუფლება მართული კლასებისა მმართველის მიერ. მეოთხეც, როგორც მარქსიზმი, ისე თანამედროვე მკვლევარნი გამოდიან პროგრესული შეხედულე-

ბებიდან საერთაშორისო ურთიერთობების კოლექტიური განვითარებიდან გამომდინარე.

განმასხვავებელი კი ის არის ნეომარქსიზმსა და ტრადიციულ მარქსიზმს შორის, რომ ნეომარქსიზმი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ეკონომიკური დეტერმინიზმი. ნეომარქსისტები მართალია პრიორიტეტს ეკონომიკურ ფაქტორებს ანიჭებენ, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებს არ განიხილავენ, როგორც „მეორეხარისხოვან" და „მესამეხარისხოვან" მოვლენას. გარდა ამისა ნეომარქსისტები, განსხვავებით მისი იდეური წინამორბედისაგან საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების ანალიზისას უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებენ. გარდა ამისა ნეომარქსისტები საერთაშორისო – პოლიტიკური მეცნიერების ავტონომიურობას სავსებით შესაძლებლად მიიჩნევენ.

საკონტროლო კითხვები:

1.დაასახელეთ საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები, განმარტეთ რატომ ეწოდებათ მათ კლასიკური?

2. რა ძირითადი საკითხების ირგვლივ მიმდინარეობდა პოლემიკა ნეორეალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის?

3.ვინ არის ნეორეალისტური სკოლის ფუძემდებელი და რომელმა ნაშრომმა დაუდო სათავე ამ თერიულ მიმდინარეობას?

4.საერთაშორისო ურთიერთობების შეფასებისას რა საკითხებს ანიჭებს უპირატესობას ნეოლიბერალიზმი?

5.რა განასხვავებს და რა აერთიანებს ნეომარქსიზმს ტრადიციული მარქსიზმისაგან?

ლიტერატურა:

1.ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006

2.საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (ქრესტომატია), თბ., 2002

3.Âàëåðø òàèí È. Àí àëèçì èðî âû õ ñèñòåì : ñî âðåì åí í î å ñèñòåì í î å âèäåí èå ì èðî âî ãî ñî î áù åñòâà//Ñî öèî ëî ãèÿ í à ï î ðî ãåå XXI âåêà: í î âû å í àï ðàâëåí èÿ èññëåäî âàí èé, Ì ., 1998

4.Ãóëäì àí Ê. Ì åæäóí î ðî äí û å î òí î ø åí èÿ: î áù èå ï ðî áëåì û //ï î ëèòè÷åñêàÿ í àóêà: í î âû å í àï ðàâëåí èÿ/ Ï î ä.ðåä. Ð Ãóäèí à è Õ.Ä. Êëèí ãåì àí à, Ì ., 1999

5.Êî õåí ÐÎ . Ì åæäóí î ðî äí û å î òí î ø åí èÿ: Â÷åðà è ñåãî äí ÿ//Ï î ëèòè÷åñêàÿ í àóêà: í î âû å í àï ðàâëåí èÿ/ï î ä.ðåä. Ð Ãóäèí à è Õ.Ä. Êëèí ãåì àí à, Ì ., 1999

6.Ò î ðêóí î â À.Â. (ðåä). Ñî âðåì åí í û å ì åäæóí î ðî äí û å î òí î ø åí èÿ, Ì . 2000

7.Öè ãàí êî â Ï .À. Òåî ðèÿ ì åæäóí î ðî äí û õ î òí î ø åí èé. Ì . 2004

8.Amin S. Capitalisme, imperialisme, mondialisation// Recherches internationalesw. #48, Printemps 1996

9.Brown C. International Society: A Study of Order in World Politics> L,. 1977

10.Buzan B. Peaple , State and Fear: An Agenda for International Security Staties in the Post- Cold War Era. L., 1991

11.Gilpin R. Nhe Political Economy of International Relations. Princeton, 1987

12.Kaplan R. The Coming Anarchy// The Atlantic Monthly. Vol. 273. #2 February 1994

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006

2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (ქრესტომატია), თბ., 2002

3.Ï .À. Öû ãàí êî â, Òåî ðèÿ ì åæäóí î ðî äí û õ î òí î ø åí è è, Ì ., 2004

4.Â.Ï . Ãëàäêî â, Ì åæäóí î ðî äí î å î áù åñòâî : óòî ï èÿ èëè ðåàëüí àÿ ï åðñï åêòèâà //Ì èðî âàÿ ýêî í î ì èêà è ì åæäóí î ðî äí û å î òí î ø åí èÿ, 1989. ¹ 6

5.Þ . Êóêóëêà, Ï ðî áëåì û òåî ðèè ì åæäóí î ðî äí û õ î òí î ø åí èè, Ì ., 1980

6.Ý.À. Ï î çäí ÿêî â, Ôèëî ñî ô èÿ ï î ëèòèêè. Ì ., 1994

7.R. Aron, Une Sociologie des relations internationales // Revue francaise de siciologie, 1963. Vol. IV. #3

8.B. Badie, L‘Etat importe, L‘occidentalisation de l‘orde politique, P., 1992

9.N.J.W. Burton, World Society, Cambridge, 1972

10.L. Dudley, The World and The Sword: How Techniques of Information and Violence Have Shaped Our World. Oxford, 1991

11.M. Merle, Sociologie des relations internationales, P., 1974

12.J. Rosenau, Turbujence in World Politics, A Theory of Change and Continuity. Princeton, 1990

13.Å.Í . Êí ÿçåâà, Ñ.Ï . Êóðäþ ì î â, Ñèí åðãåòèêà êàê í î âî å ì èðî âèäåí èå: äèàëîã ñ Èëèåé Ï ðèãî æèí ûì // Âîï ðî ñû ôèëî ñî ôèè. 1992. ¹ 2

14.Ðî çåí àó Äæ. Ì èðî âàÿï î ëèòèêà â äâèæåí èè. Òåî ðèÿ èçì åí åí èè è ï ðååì ñòâåí í î ñòè: ðåô åðàò. Ì . 1992

15.Ñî âðåì åí í ûå ì åæäóí î ðî äí ûå î òí î ø åí èÿ. Ì . 2000

16.Ôåëäì àí Ä.Ì . Çàêî í î ì åðí î ñòè ì åæäóí î ðî äí ûõ î òí î ø åí èè: Ó÷åáí î å ï î ñî áèå Ì ., 1992

17. Rassett B., Star H. World Politics. Menu for Choice. San Francisco, 1981

18. Ãî ááñ Ò. Ëåâèòàí // Èçáð. ñî ÷.: Â 2ò. Ò. 2.Ì ., 1991

19. Êàí ò È. Ê âå÷í î ì ó ì èðó // Èì ì àí óèë Êàí ò. Ñî ÷èí åí èÿ â 6ò. Ò:. Ì ., 1966

20. Êèññèí äæåð Ã. Äèï ëî ì àòèÿ. Ì ., 1997

21. Êëàóçåâèö Ê. ôî í . Î âî éí å, Ì ., 1996Ì î ðãåí òàó Ã. ï àëèòè÷åñêèå î òí î ø åí èÿì åæäó í àöèÿì è. Áî ðüáà çà âëàñòü è ì èð// ñî öèàëüí î – ï î ëèòè÷åñêèé æóðí àë. 1997. ¹ 2

22. Ôóêèäèä. Èñòîðèÿ: â2 ò. Ì .: èçä. Ì .è Ñ. Ñàâàø íèêîâûõ, 1915 (Ðåïðèíò ÒÎÎ «Ïðîãðåñ» Ì ., 1994)

23. Aron R. Paix et Guere entre les nations. P., 1982

24. Bull H. International Theory: The Case for a Classical apporoach//World Politics. 1966. Vol XVIII

25. Hoffman S. Theorie et relations internationales//Revue francaise de science politique. 1961 Vol.

26.Keohane R.O. and Nye, J.S.(Jr). Power and Interdependence. Cambridge, MA, 1989

27. Âàëåðø òàèí È. Àíàëèç ìèðîâûõ ñèñòåì : ñîâðåì åíí îå ñèñòåì íîå âèäåíèå ì èðîâîãî ñîîáùåñòâà// Ñîöèîëîãèÿ íà ïîðîãå XXI âåêà: íîâûå íàïðàâëåíèÿ èññëåäîâàíèé, Ì ., 1998

28. Ãóëèì àí Ê. Ì åæäóíîðîäíûå îòíîøåíèÿ: îáùèå ïðîáëåìû //ïîëèòè÷åñêàÿ íàóêà: íîâûå íàïðàâëåíèÿ/ Ïîä.ðåä. Ð Ãóäèíà è Õ.Ä. Êëèíãåì àíà, Ì ., 1999

29. Êîõåí ÐÎ . Ì åæäóíîðîäíûå îòíîøåíèÿ: Â÷åðà è ñåãîäíÿ//Ïîëèòè÷åñêàÿ íàóêà: íîâûå íàïðàâëåíèÿ/ïîä.ðåä. Ð Ãóäèíà è Õ.Ä. Êëèíãåì àíà, Ì ., 1999

30.Òîðêóíîâ À.Â. (ðåä). Ñîâðåì åíûì åäæóíîðîäíûå îòíîøåíèÿ, Ì . 2000

31.Amin S. Capitalisme, imperialisme, mondialisation// Recherches internationalesw. #48, Printemps 1996

32.Brown C. International Society: A Study of Order in World Politics> L,. 1977

33. Buzan B. Peaple , State and Fear: An Agenda for International Security Staties in the Post- Cold War Era. L., 1991

34.Gilpin R. Nhe Political Economy of International Relations. Princeton, 1987

35.Kaplan R. The Coming Anarchy// The Atlantic Monthly. Vol. 273. #2 February 1994

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 30.01.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.03.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,3. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი,
კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent